

140

1981

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ  
ՊԵՏԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ



# ՀՈՒՆԵՅՈՒ

9  
1981



ილია ჭავჭავაძის სახლ-მემორიალში კონსტრუქციის სახეობის კოსმონავტიკის კონკურსის კოსმონავტიკის კონკურსის გამარჯვებულნი.


ჩვენი ქვეყნის 2000 ნორჩ ტექნიკოსთა და ნატურალისტთა სადგურში, 4.500 პიონერთა სასახლესა და სახლში, 1200 ტექნიკურ კლუბში, ნორჩ მფრინავთა და კოსმონავტთა 490 კლუბსა და 300 სამოსწავლო-სამეცნიერო საზოგადოებაში გაერთიანებული 1 მლნ ნორჩი ტექნიკოსი და 2 მლნ ნორჩი ნატურალისტი წარმოადგინა იმ 500-მდე დელეგატმა, რომლებიც კომკავშირულ ქალაქ „ბორის ძენლაძეში“ ორგანიზებულ ნორჩ ტექნიკოსთა და ნატურალისტთა საკავშირო შეკრების მუშაობაში მონაწილეობდნენ.

ტიტულები და შემოქმედებითი გამარჯვებები არ აკლია შეკრების არც ერთ ნორჩ სტუმარს: აქ მრავლად არიან საკავშირო კონკურსებისა და გამოფენების ლაურეატები, მოსკოვის სახალხო მეურნეობის მიღწევათა

ენინო ხარაზიანი

# შეკრება დამთავრდა,

# შეკრება გრძელდება



გამოფენის მონაწილენი, „მცირე აკადემიებისა“ და სამოსწავლო-სამეცნიერო საზოგადოებების აქტიური წევრები...

დიას, ისინი ბევრნი არიან. დიდა ის წვლილიც, რომელიც ბევრ მათგანს შეაქვს ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებაში. საკმარისია აღინიშნოს თუნდაც მარტო ის, რომ მათი ყოველი მეორე რაციონალიზატორული წინადადება წარმატებით ინერგება ჩვენს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, სასკოლო და სკოლისგარეშე დაწესებულებათა პრაქტიკაში.

როტული და შემოქმედებითი იყო შეკრების პროგრამა: კომკავშირული ქალაქის სახვითი ხელოვნების ცენტრ „ფიროსმანში“ მოწყობილ გამოფენაზე მოსწავლეები ინტერესით გაეცნენ ერთმანეთის ნაღვაწს — პროექტებს და მოწეული მოსავლის ნიმუშებს. სადემონსტრაციო დარბაზ „კოსმოსში“ ჩატარებულ კონკურსსაც ყველა დაესწრო — ყველას აინ-

ალეკო ქართველიშვილის „სა-სწავლო მიკროავტომობილი“ სულ მალე იმცა გამოფენის ფარგლებში.

16 822

ტერესება, ვის ნამუშევარს მიიჩნევდა კომპეტენტური ჟიური კოსმოსური ექსპერიმენტის საუკეთესო პროექტად. სექციურ მუშაობას მთელი ერთი დღე დაეთმო. თითქმის ყველაფერს გასწვდა შეკრების მონაწილე მოზარდთა საქმიანობა და ინტერესები, სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგს — მრეწველობას და ტრანსპორტს, ავიაციას, სოფლისა და სატყეო მეურნეობებს... რუსი, უკრაინელი, ყაზახი, ბელორუსი, ბალტიისპირელი, უზბეკი, თურქმენი, სომეხი, აზერბაიჯანელი მოსწავლეები ინტერესით გაეცვინენ თბილისისა და მცხეთის, გორისა და საგარეჯოს ღირსშესანიშნაობებს, მოინახულეს ჩვენი დედაქალაქის სამრეწველო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებანი.

შეკრებამ დააჩაბა ორწლიანი საკავშირო დათვალიერება-კონკურსის „ნორჩი ტექნიკოსები და ნატურალისტები — სამშობლოს!“ შედეგები. ცნობილ მეცნიერთა, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სახელობის პრიზებით დაჯილდოვდნენ: მოსკოვის ოლქის ქ. ლიუბერცის 42-ე საშუალო სკოლისა და ვლადიმირის ოლქის იურევ-პოლსკის რაიონის ნებილოვსკის საშუალო სკოლის მოსწავლეთა და პედაგოგთა კოლექტივები, ჩელიაბინსკის სატრანსპორტო ქარხნის, ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის ლენინბადის მე-7 საშუალო სკოლის, უდმურტეთის ასს რესპუბლიკის ცენტრალური, ყირიშის საოლქო ნორჩ ტექნიკოსთა სადგურები, კარელიის ასს რესპუბლიკის მცირე სატყეო აკადემია.

ამ საკავშირო შეკრების საგამოფენო ექსპოზიციაზე, საკონკურსო და სექციური მუშაობის დროს ჩვენი რესპუბლიკა საკმაოდ მრავალფეროვნად წარმოსდგა: თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა და ნატურალისტთა ცენტრალური სადგურები, თბილისისა პიონერთა სასახლის, 26 კომისრისა და ლენინის სახელობის რაიონების,

ქუთაისის, ცხინვალის, გორის ნორჩ ტექნიკოსთა და ნატურალისტთა წრეები და სადგურები. შეკრებაზე აღინიშნა ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურ დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებულის — საგარეჯოს 1-ლი საშუალო სკოლის საწარმოო ბრიგადისა და სასკოლო-სატყეო „პატრულის“, ნორჩ მიწათმოქმედთა, მეკურდღლეთა, მეაბრეშუმეთა და მეყვავილეთა შემოქმედებითი სასწავლო-სადიდილო მუშაობის შესახებ. კოსმოსური ექსპერიმენტის



**უკავაშაბაა  
შენი  
სახელი.**



საუკეთესო პროექტზე გამოცხადებული კონკურსის პირველი და მესამე ადგილები დაიმსახურეს თბილისელი მოსწავლეების — 98-ე სკოლელი ილია ქვენიშვილის საპლანეტთაშორისო კოსმოსურმა სადგურმა „გალაქტიკამ“ (26 კომისრის სახელობის რაიონის პიონერთა სახლი) და 126-ე სკოლელ გარი მუავიას „სარკის კარდინოგრაფმა“ (პიონერთა სასახლე). „პიონერფილმის“ ახალ ფილმში „ლელა კოსმოსში“, „პერსპექტიულ კოსმონავტად“ მოგვევლინა დებიუტანტი, თბილისელი მოსწავლე ლელა ბერიძე. ამ ფილმს კონკურსის ერთ-ერთი პრიზი მიენიჭა.

გატაცებული გოგო-ბიჭების საყვარელი ადგილია. ჩვენც გვიყვარს ისინი — პავილიონის გამოფენების ყველაზე ინტერესიანი სტუმრები და ამ სიბზობსა და სიყვარულს ექსპოზიციების შედგენისას მაქსიმალურად გამოვხატავთ, — ვცდილობთ, ყოველი ნამუშევრის ავტორზე, რაც შეიძლება, მეტი წერილობითი და ფოტოინფორმაცია მოვიძიოთ, რასაც შემდეგ საგამოფენო ექსპონატებს თან ვურთავთ და ამით გამოფენის შინაარსაც ვამდიდრებთ და მის მიზანდასახულებასაც უკეთ ვპასუხობთ.

ამგერადაც ისე მოხდა, როგორც სხვა შეკრებებზე: ახალი ექსპოზიციისათვის, რომელიც მარტში უნდა მოგაწყდეთ, მდიდარი კოლექცია 32 ნამუშევარი შევარჩიეთ.

ალბათ ყველა ნორჩი ტექნიკოსი მოყვარულისთვის ცნობილია ჟურნალ „მოდელისტ-კონსტრუქტორის“ ტრადიციული კონკურსი „ნორჩი ტექნიკოსები — კოსმოსი“; ეს ერთგვარი „მცირე ინტერკოსმოსია“, ამ კონკურსის ჩატარებასაც უახლოეს მომავალში ვფიქრობთ.

საჩუქარს ვუზღავდებთ საკავშირო ლენინური პიონერული ორგანიზაციის მე-60 წლისთავს. ამ ექს-

### **ლაპარაკობენ შპარპის სხუპარკი**

**იონა ლუცკაია,**

მოსკოვის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ნორჩ ტექნიკოსთა და ნატურალისტთა პავილიონის დირექტორი:

— ვფიქრობ, რომ არ შეეცდები, თუ ვიტყვი, — ჩვენი პავილიონი ფანტაზიური, ბუნებითა და ტექნიკით

*ქ. მარტის სს. სპ.  
სს. სახელმწიფო  
რ. ს. მ. მ. მ. მ. მ. მ.*

**საქართველოს კლკ მკ. ინ. და**  
პ. ი. ლენინის სახლობის  
პიონერთა ორგანიზაციის  
რესპუბლიკური საბჭოს  
ყოველთვიური  
საბავშვო ჟურნალი

**პიონერი**  
საქართველო 1981

თბილისის ბავშვთა განათლების განყოფილება



უკრაინა და უკრაინი წიგნი  
დაწერილობითი უკრაინაზე  
შეადგინა თბილისში საბავშვო  
უნივერსიტეტის მუზეუმი.  
ლ. შაველიძე



საქართველო  
საბავშვო მუზეუმის  
დაწერილობითი მუზეუმი.  
ს. ბერიძე



პოეტიკაში ერყმევა „ჩვენ საბჭოთა ქვეყნის პიკეტაჟი ვართ“.


თვენი რესპუბლიკის ნორჩი ტექნიკოსები და ნატურალისტები პავილიონის ექსპოზიციების მუდმივი სტუმრები არიან. მუდამ არაფერს ვერცხვან ვთავაზობენ თბილისის პიონერთა სასახლე, ნორჩ ტექნიკოსთა და ნატურალისტთა ცენტრალური სადგურები. განსაკუთრებულ

გაზოგოვან ღირსია თბილისის 26 კომისიის სახელობის რაიონის პიონერთა სახლის ნორჩ ტექნიკოსთა წრის მოწოდებული პროექტები. თუმცა ერთი უნდა აღინიშნოს, — საკავშირო მასშტაბის პრობლემა სპორტულ სიბინადლეულშიც პრობლემა რჩება. ეს პრობლემა სოფლის სკოლების ნორჩ ტექნიკოსთა წრეების შედარებით ნაკლები აქტი-

ვობა და დაბალი დონე, ვიძლევენ, რომ თქვენი რესპუბლიკის სინამდვილეში, როგორც სხვა მრავალი მტკიცებულ საერთო, ეს პრობლემა უახლოესი მომავლისათვის ოპტიმალურად გადაწყველება.

აბაგილი რეკონსტრუქციის  
ფუნქციონირების  
შედეგად

მაგონდება რუსთაველის ერთი აფორიზმი: „ყოველი შიგნით რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების...“ რა დიდი და უზარალო კემპარტებაა ამგვარი, კეთილი კონდონი, კეთი-



„აბაგილი“ — ასა  
შენი მანქანის მოწყობა  
ის აბაგილი სკოლისთვის არ  
ეხება



მანქანის მანქანის მანქანის  
მანქანის მანქანის მანქანის



მანქანის მანქანის მანქანის  
მანქანის მანქანის მანქანის



კონფერენციამ, რომელსაც შეტყობის ერთობილი დღე დაეძინა ეს პიკეტაჟის და ტექნიკის ნორჩ მკონდებო, ნორჩ სპეციალისტთა შრომის შემოქმედებითი თანამშრომლობის განმტკიცების, გეოგრაფიკული ურბანის, განსაზღვრების საერთო უმჯობესი, ნაკლები დიდი და სავსე-ლისებო იტენია, რადგან თანამშრომ-ლის განვითარების დონე ყოველ ტექნიკოსს ავადებს, ფლობებს გეოგრაფიკული ცოდნის თუნდაც მინიმუმს, რადგან ყოველ ბუნების მოყვარულს ზოგადი მაინც უნდა ერკვეოდეს ტექნიკის თანამშრომლებს.

ლი ნიჭით სავსე კოცა ჩვენი შეტყობის თითოეული მომწოდებელი მოზარდი, ამიტომ ვეველებო, რომ ვეველი მოტივირებული, ვეველი გეგმით იმსათვის, რომ უახლოეს წარმოსდინდის ეს სიყვით, რომ მხოლოდ თითოეულის პიროვნულ, მოქალაქეობრივ და პროფესიულ ჩამოყალიბებას, ქვეყნის და ხალხისათვის სასარგებლო საქმის მიზნად ეს სიყვით და ნიჭის თითოეული უწყობი.

შეხად საინტერესო საერთო დავა ნორჩ ტექნიკოსთა და ნატურალისტთა სადგურების ხელშეწყობილი და შედარებითი განვითარება.



აბაგილი მანქანის მანქანის  
მანქანის მანქანის მანქანის

შეხადის საერთო მანქანის  
მანქანის მანქანის მანქანის



მანქანის მანქანის მანქანის  
მანქანის მანქანის მანქანის



ფანჯრიდან მოჩანდა მზით განათებული მწვერვალები. ეტყობოდა, კარგი ამინდი იქნებოდა დღეს... ნუგზარმა გადაწყვიტა ადგომა და გარეთ გასვლა, მაგრამ რა უნდა გაეკეთებინა ასე აღრე? ნებვირად გატრუნულს ფეხის ხმა მოესმა. ვილაც ამოდიოდა კიბეზე, მერე გამოიარა აივანი და ოთახში შემოვიდა პაპა.

— ადე! — შესძახა მოხუცმა.

ნუგზარმა წამოიწია და პაპას კი ვერ გაუსწორა თვალი, დაიღუნა და ძებნა დაუწყო ფეხსაცმელებს. გამოალაგა საწოლქვეშიდან და შეუდგა ჩაცმას.

— შენი კბილისა ლოგინში კი არ უნდა იწვეს ახლა, ცხვარს უნდა მისდევდეს იალალზე!

ბიჭი დარცხვენილი იცვამდა, უხერხულობას გრძობდა პაპასთან.

იგი გავიდა.

ნუგზარმა შვებით ამოისუნთქა და ახლა უკვე დინჯად განაგრძო ჩაცმა. მერე გაიხურა კარი, ჩაირბინა კიბე და ჩავიდა ეზოში.

ძროხები უკვე დაეწველათ დედასა და ბებიას. რძით საესე ქვაბები მოჰქონდათ შინ. პაპას ბაკიდან გამოუდიოდა ცხვარი, შემოხედა თუ არა ბიჭს, შესძახა წარბშეკვრით:

— აბა, ეგეთი უნდა წახვიდე ცხვარში? სადა, ვინ გინახავს ეგრე ჩაცმული მწყემსი?

ნუგზარმა დაიხედა ტანზე. ასე დადიოდა სკოლაში. რა დაშავდებოდა ვითომ, ამ სამოსითვე წასულიყო ცხვარშიც?

— დედაკაცო! — გასძახა პაპამ ბებიას, — რო ვითხარი, გაამზადეთ-მეთქი, შენ რა, უკუღმა გეყურება ჩემი ნათქვამი?

— მე მეგონა, ხუმრობდი! — დაუძახა ბებიამ.

— დღეს კი რალა იქნება და სხვალ მოუშვადეთ ყველაფერი, თორე გაგაჯავრებთ ძალიანა! — დაიძახა პაპამ და აუშვა ცხენი.

ნუგზარი ისევე გაბრუნდა შინისკენ.

— ჩაუღეთ გულაში საგზალი და გამოგზავნეთ ეგრევე. სვლიდან კი მოუშვადეთ ყველაფერი!.. — იძახდა პაპა და მიუდიოდა ცხვარი.

სამზარეულოში ფუსფუსებდნენ დედა და ბებია.

გაბუტულივით ჩანდა დედა. ბებია კი საქმობდა ჩვეულებრივ.

დედამ ჩამოიღო კედელზე ჩამოკიდებული გულა, ჩააწყო შიგ პურები, მოტეხა ბლომად ყველი, შეახვია გაზეთის ნახევში და უხმოდ მიაწოდა გულა ბიჭს.

ნუგზარმა ჩაირბინა ეზოში და გახედა პაპას.

იგი აღმა მიერეკებოდა ძოვნიტ გაფანტულ ცხვარს.

— რა წელის წყვეტით მოდიხარ? ცოცხლად გადმოადგი ფეხი! — მკაცრად დაჰკვივლა პაპამ.

ბიჭმაც უმაღვე ააჩქარა მუხლი, მივიდა და მიაწოდა გულა.

— მე კი ნუ მაძლევ, აიკიდე თავადა! შენ უნდა იყო დღეს ცხვარში!

ბიჭმა წამოიკიდა გულა.

— აპა! შაჯე ცხენზე!

ნუგზარმა საბელი გამოართვა. მაღალი იყო ცხენი. ჯიდაომდის სწვდებოდ ბიჭი მხოლოდ. ხელები დააწყო თუ არა ზურგზე, კანი აუთიმთიმდა საფერხეს.

ბიჭმა უნებურად მიიხედა პაპისკენ.

ილიმებოდა იგი. მერე უთხრა გამაქეხებლად:

— შაჯე, შაჯე!

შეახტა ბიჭი, მაგრამ მოუსრიალდა ხელები და კინალამ გაიმხლართა გულადმა.

ჩუმი სიცილი აუტყდა პაპას.

— სო ატყობ, ვერა ჯდები ეგრე!

— მა რა ვქნა? შაჯე, შაჯეო და... — თქვა და აუთოლოდა სხმა ნუგზარს.

— ნუ გწყინს! შენით უნდა მიხვდე ყველაფერს! საცა დინახო მაღალი ქვა, მიაყენე იქა, შადექი და მოახტი ცხენს. აგერა ლოდი!

გაბრაზებულმა ბიჭმა ლონეზე ვასწია აგშარას და გაიყოლა ცხენი. მიაყენა ლოდთან, შედგა ზედ, შეახტა და გაუხარდა, რომ კარგად მოაჯდა პაპის დასანახად.

— რალას უყურებ? გააქენე!

ისევე წაუხდა სხსიათი. რომ ჩამოეგდო ცხენს!..

უკანიდან წამოეპარა მოხუცი. მათრახი გადაუკრა ცხენს.

საფერხე ოთხხმით მოწყდა ადგილიდან.

გული გადაუქანდა ბიჭს. ჩააფრინდა ფაფარში და მოუჭირა ლაჯები. მიაჭროლებდა და ცივად ელამუნებოდა რბოლისაგან ამდგარი ნიავი. სახეზე ესლებოდნენ აქა-იქ მოზუზუნე მწერები. ქარი უშხულოდა ყურებში... გაოგნებული იყო ერთ ხანს. მოისაზრა მერე, რომ დაესადაგებინა ცხენი. მოსწია ლაგამს და საფერხემ თანდათან შეანელა სვლა. გაჩერდა ბოლოს და დაეწავა ბალახს.

ჩამოხტა ბიჭი და ამოისუნთქა შვებით, ქვეითად დაბრუნდა პაპასთან.

— რად მოდიხარ ფეხითა? შაჯე და ისე წამოდი! — შორიდანვე დაუძახა მოხუცმა და ულვაშებში დამალა ეშმაკური ღიმილი.

— ცოდოა ცხენი! — უპასუხა და გაუშვა საბალახოდ.

— აბა, შენ იცი! დღეიდან შენ უნდა იარო ცხვარ-



გივი ბუთხუზის მოთხრობა „გზის დასაწყისი“ „კომნაჩის“ კონკურსზე პრემია ღირსებული.

ში! — უთხრა პაპამ და გაბრუნდა სოფლისაკენ.  
„დღიდან შენ უნდა იარო ცხვარში!“ როგორ უნდა გაძლოს მარტომ მთელი დღე? პაპამ რაღა უნდა აკეთოს? მამა ცხვარშია ერთთავად, იშვიათად მოდის შინ. მეცხვარეა პაპაც, მაგრამ მარტო ზაფხულობით მოდის ხოლმე მთაში... როგორ უნდა მოუაროს ამდენს?

ბიჭმა მოათვლიერა აღმა ძოვნიტ მიმავალი ცხვრები. მერე შეუდგა თვლას. აერია და თავიდან დაიწყო ისევ. შეეშალა კვლავ... შეერია ცხვარში, დაქსაქსა აქეთ-იქით და ისევ დაიწყო თვლა.

ასი სული!  
გარეკა ხევის გაღმა, ჩამოჯდა წყაროს პირას. დაიბანა ხელები, მოხსნა გუდას პირი და ამოიღო ყველ-პური. ილუკმებოდა მადიანად, თანაც თვალი ეჭირა ცხვრებზე. იქვე ახლოს სძოვდა ცხენიც.

რატომღაც უფრო გემრიელი ეჩვენებოდა ბიჭს ყველიც და პურიც.

როცა კარგად დანაყრდა, წამოწვა გულაღმა და მიაშტერდა ცას. მერე გახედა მზეს. დილა იყო ჯერ. როგორ უნდა გაეძლო საღამომდის? დაღონებულმა გახედა სოფელს. როგორც ხელისგულზე, ეგრე მოჩანდა გაღმა ფერდობზე შეფენილი სახლები. წამოდგა და მიაცქერდა ცხვარს — გულიანად ძოვდნენ ნამიან ბალახს. მივიდა ახლოს. არ უფრთხოდნენ ბატკნები. მოუწდა მათთან თამაში და დაუფუჩუნა ერთს. რამდენიმემ მოაშურა სუნსულით. ამოიღო პური და დაუნაწილა ლუკმებად. იკრეს თუ არა სუნი, მოთქრიალდნენ სხვებიც. აუქნია ჯოხი და ძლივს მოიშორა თავიდან. მერე მიბრუნდა ცხენისკენაც. ხევის პირზე ძოვდა იგი.  
— წაბლა!

საფერხემ მოგვიანებით ასწია თავი. იცქირებოდა ყურებდაც-ქვეტილი და ხრამახრუმით ლექდა ყბებში მოგროვილ ბალახს. ბიჭი გაეშურა მისკენ და მოუტეხა ცოტა პური. ეშინოდა ცხენისა, მაგრამ ცხენმა მიუშვირა ხვევრივით რბილი ჩიჩვირი, ჩამოართვა ნუგბარი, ვაღეჭა და კვლავ მიაჩერდა სიყვარულიანი თვალებით.

არა ჩანდა საშიში. ბიჭმა გაუწოლა მეორე ლუკმაც. მშვიდად, ნესტოების ბერვითა და ჩიჩვირის თრთოლვით მიიღო ცხენმა ესეც... მერე მოაჩერდა კვლავ.

არა, არ უნდა ყოფილიყო კენია და მწიხლავი. შეიძლებოდა ამასთან დაშეგობრება. მისწვდა ათრეულ ჩაჭვზე და მიმოიხედა აქეთ-იქით. აკეცა მერე და მიიყვანა მაღალ ჯირკვთან. ავიდა ზედ და შეჯდა ცხენზე. რაღაცნაირად სასიამოვნო იყო მისი ჯიდაოს სითბო და სილბო. სრულებითაც არა ჩოთირობდა ცხენი პატარა მხედარს. იღვა და ძოვდა გამაღლებით. ბიჭს აღარც კი უნდოდა ძირს ჩამოსვლა. მერე გაწვა პირქვე და კისერზე მოხვია ცხენს ხელები. მოსწია ავშარას და ცოტათი შემოპკრა ქუსლები.

ნელა გაქვექვედა ცხენი.  
ბიჭმა აიყვანა ახოს თავამდის, მერე დააბრუნა დაღმა, მოაგლო ცხვრებთან და ჩამოხტა ძირს.

2

როგორც კი იცდინა შვილიშვილის თვალი, მაშინვე მოეფარა პაპა ბუჩქებს. ძალვით დაუწყო ცქერა. კარგა ხანს უყურა შორიდან, მერე იმედიანად წავიდა შინ.

აივანზე გამოეტანათ ხელსაქმე რძალსა და დედამთილს. საკერავ მანქანას მისჯდომოდა ნათელა, წინდებსა ქსოვდა ტასო.

- გაბუტული ეჩვენა რძალი პაპას.
- რად არი გამწყრალი? — ჩუმად ჰკითხა ცოლს.
- იმიტო, რო... რად გაგზავნეთ ბაღლი ცხვარშიო. უნდა ვასწავლოო; მე განა მწყემსადა ვზრდი მაგასაო...
- თვითონაც გამწყრალივით ლაპარაკობდა ტასო.
- ისწავლოს, ვინ უღვას წინა? კაცმა პატარაობიდანვე ხო უნდა იცოდეს, საიდან მოდის პური?





— მეც ვგრე ვეუბნები, მაგრამა...

გამობრუნდა უკან მოხუცი და გახედა იალღებს. მერე თვალი გაუშტრა იმ ადგილს, სადაც წელიან უკანასკნელად დალანდა შვილიშვილი. ახლა აღარსად ჩანდა ცხვარ-მწყემსი. „აღბათ, ვადაეფარა სერს“, — გაიფიქრა და ჩავიდა აივნისადა. „რა იციან დიაცთა!.. მაგი-სი თუ შვილიშვილია, ჩემი რაღაა? შვილმა გული მამგ-ლიჯა და შვილიშვილმა გულის გულიო. ტყუილად როდი უთქომთ ჩვენს ძველებს. მაგით არაფერი დაუშავდება ბაღსა, რო ცოტა ხანს იაროს ცხვარში, მამ რა უნდა აკეთოს ამ ზაფხულს შინა? რა არის, რომ ცოტა ხნით მაგანაც გამოსცადოს მწყემსის ჭირ-ვარამი?..“ ახლა ბოსლის თავიდან საქალამნე შოლტი ჩამოიღო პაპამ. ვარაუდით გამოსჭრა ნუგზარის ფენის ზომიზზე. შუშის ნატებით მოაფიქრა ბეწვი; მერე ჩააწყო გეჯაში, დას-ლო ქვა, დაასხა წყალი, ჩამოჯდა იქვე და შვილი-შვილთან გაჩნდა ფიქრით. მერე გადაწვიტა მასთან მისვლა. შორიდან დაუწყებდა ზვერვას, როგორ პატ-რონობდა სამწყსოს... გაუდგა გზას. მიდიოდა და თანაც ერჩეოდა გუნებას: ხომ არ შეცდა მართლა, რომ გააგლო ველად? დაფიქრდა, მაგრამ ვერაფერი იპოვნა ამაში საძრახისი. ასეთი წესი შორეული საუკუნეებიდან მო-დიოდა მთაში: ბაღლებს პატრონობიდანვე ჰვეშავდნენ მწყემსებდა. მეცხვარე იყო პაპაც, მამაც, თავდაც, შვი-ლიც. ახლა აი, შვილიშვილისთვის უნდა მოესინჯა კბი-ლი. რა დაშავდებოდა ამით? თუკი გამოიჩინდა სწავლის ნიჭს, ვინ დაუღებოდა წინ? ეხლავე უნდა გაეგო მა-საც, საიდან და როგორ მოდის პური.

გადაადგა სერს და მოიჩრდილა თვალები. ჯერ ცხვა-რი შენიშნა, მერე ცხენი. ახლა შვილიშვილს დაუწყო ძებნა. ააჩქარა ფეხი. მაგრამ პირდაპირ კი არ წაადგა თავს, ჩავიდა სხეში, მალევე აპყვა წარათს, მერე გავიდა ყალთაღზე და დაიძახა ხმამაღლა.

ბუჩქებიდან გამოჩნდა ნუგზარი.

— როგორ მიგდის საქმე? ხო არამ დაგაღონა, პატა-რა კაცო? ძნელია ცხვარში?

— რაზეა ძნელი? სძოვენ ესენი და ვუყურებ მენა! ვარ არხეინად!..

— მე მეგონა, მაიწყენდი მარტობითა! ეგ არი მთა-ვარი! თუ მარტობას უძლებს მწყემსი, აღარ გაუჭირ-დება აღარაფერი! კაცი ჰყოფილხარ კაცური, პაპის სა-სახელო კაცი! მოდი, დამიჩქი გვერდიო!

გალიმებული მიუჯდა ნუგზარი მოხუცს.

— კარგია სწავლა. მაგაზე ვინ ამბობს უარსა? მაგრამ მწყემსობაც უნდა გამოსცადოს ადამიანმა! როცა გა-იზრდები, სიამოვნებით მოიგონებ აემ დროს! სანამ და-გეწყებოდეს სწავლა. ვინ იცის, რამდენჯერ გადაივლის შენს თავზე ავდარი, სეტყვა, ქარიშხალი, მესთატეხა... გინდა ნასწავლი კაცი იყავი, გინდა — არა, ცხოვრება ბრძოლაა მაინც! დიდი მეცნიერი რო გახდე. დიდი ბრძოლები უნდა გადაიხადო ჯერა. თუ მაგარი არ იქნე-ბი, უღროოდ გიმტყუნებს ჯანი და შუა გზაზევე მოგე-ცარება ხელი. მეცხვარეობა კი საწრთობი სკოლაა ჯა-ნისა. ისეთი მაგარი იქნები დიდობაში, როგორც ქვა და რკინა. ჭირი კი არა, ტყვიაც ვერ მოერევა ჯანმგარ კაცს!.. ყველა საქმე კარგია, ჩემო შვილო, მაგრამ მწყემსობა!.. თავისთავად დიდი გმირობაა მეცხვარეობა! თვეობით სოფელ-ქვეყნისაგან შორს!.. დღისით თუ ღამით, ზამთარ თუ ზაფხულ... ვერც სეტყვას დაემალე-ბი. ვერც თავსხმას, ვერც ქარიშხალს, ვერც თოვას და ვერც მესთატეხას. სიცოცხე, შიმშილი, მტერი, მგელი, დათვი, ქურდი, ყაჩაღი, მეწყერი, ზვავი... ათასნაირი ფათერაკი სდევს მეცხვარეს.

დაფიქრებული უსმენდა შვილიშვილი.

— მეცხვარედ არ გამოღვება მხალი, ზარმაცი,

უქნარა, უაზრო, უმეცარი, დონდლო! წინავესტის მწყემსო-ხლხი მიდიოდა მწყემსად! კაი ცხენოსანიც უნდა ყოფილიყო! ლიყავი, კარგი მსროლელიც, გულადი, პურადი, ეტლი-ანი, სიტყვა-პასუხიანი, აზრიანი, მოხერხებული... მეც პატარა წამიყვანა მამამ ცხვარში. მთაბარობაში დავიც-ვალე კბილები, მთაბარობაშივე ამიჩვიებოდა უღვა-ში, გამითვებოდა წვერი... სწავლა გინდა? ვინ უღვას წინ? მაგრამ ესეცა სცადე ჯერა. იცოდე, რა ჭირის დღე-ები გადაუყრია შენს მამა-პაპათ. წინავესტის ევროპაში მი-დიოდნენ თუშნი სასწავლად, მაგრამ რო ბრუნდებოდ-ნენ საქართველოში, მაინც ვერ ელეოდნენ გულა-ნა-ბადს. პაპი, დალოცვილია ცხვარი! მაღლიანი!.. რო წა-მააქციევი ჰელილას, გაუგდება ღუქარდს და გადავა აბრა-შემივით რბილი და ქათქათა მატყლი... აბა, შენ იცი ეხლა! ყოჩაღად! — თქვა და ადგა მოხუცი, მერე თვალი გადაავლო ცხვარს და დაეშვა თავქვე.

ადგა ნუგზარი, თვითონაც გახედა სამწყსოს.

რა კარგად ელაპარაკა პაპა! მართლაც გმირობა იქნე-ბა მეცხვარეობა. ერთთავად ტყეში, მთაზე, ველზე, წვიმაში, ქარში, ღარში, ავდარში... „ახლა რო მოდიო-დეს წვიმა...“ გაიფიქრა და აიხედა მაღლა. ლურჯად კამკამებდა მთელი ცა. ქვეყანას მხიარულად დანათოდა თბილი მზე. „როგორც უნდა ძალიან წვიმდეს ეხლა, არ წავიდოდი შინ, აესევე ვიქნებოდი ავდარშიც. კი არ მო-ვიბუთებოდი. ზოგივით, ვივლიდი ყოჩაღად! თვალს და-ვუჭერდი ცხვარს! შემაქებდა პაპაჩემი! მაგარი უნდა გამოვიდე მეც!..“ — გაიფიქრა და მოათვალიერა ცხვა-რი. მერე გახედა ცხენს.

— წაბლა!

საფერხემ უმაღვე აილო თავი, მოუბრუნდა ბალახის ღეჭვით.

წავლო ბიჭმა ხელი ფაფარზე, დაახრევინა თავი და ყბაზე მიახუტა ლოყა.

ცხენი ჯერ კი გაუყურდა თვინიერად, მერე ისევ ასწია თავი.

გაუშვა ხელი ბიჭმა.

— ახლა ძოვე ბალახი, ძოვე!.. — უთხრა და კომბლის აქნევით გააბრუნა წარათისაკენ.

### 3

ნათელა გვიანდა მორჩა კერვას. აალავა ნაჭრები და მერე მიუბრუნდა მარინეს:

— მოდი ეხლა ჩემთანა!

გოგონამ დაღო გადაშლილი წიგნი და მიიბრინა დე-დასთან.

— საღამოზე ცხვარს რო მორეკს ნუგზარი, მიეგებე და ჩამოართვი გულა. ჰკითხე, როგორ დააღამე დღესა-თქო, ხომ არ დალონდი მარტობითა-თქო. მერე უშველე ცხვრის ბაკში შერეკვა. ერთად წამოდი თინაცა! ელა-პარაკე გზა და გზა... დედამ შარვალ-ხალათი შეგიკერა-თქო.

— ვეტყვი! მეტი არაფერი?

— ეხლა მე მიყურე ხელებში! — უთხრა დედამ და შავი ყაითანი მოაზნანა საყელოს. მერე შეუღდა კერვას. გაფაციცებული უცქერდა მარინე.

— პატარაობიდანვე რო ისწავლი ხელსაქმეს, უფრო კარგი გოგო იქნები დიდობაში.

— მიმიშვებ საკერავ მანქანაზეცა?

— რატო არა?

— აბა მამ მომეცი და მე დავაკერებ მაგასა!

— მოიცა ჯერა!

ნათელა ნელა და დაკვირვებით უცვამდა ნემსს სა-ყელოს კიდებებსა და ყაითანში. მისი ჩქარი ლაპარაკი და დინჯი საქმიანობა როგორღაც არ შეჭვდროდა ერთ-



— კი!  
 — ხანდახან რო გატირებს ხოლმე?  
 — მერე რა!  
 — ესლა აღარაფერზე გაგაგავრემს, ცხვარში იქნება დღეიდან! — რატომღაც აუთრთოლდა ხმა დედას.  
 გოგონას უმაღლე გაუჩერდა ნემსი. რალაცნაირად შეხედა დედას. მან უმაღლე მოარიდა სახე. „ღმერთო, რანაირები არიან ეს ბალები! ვერაფერს გამოაპარებ, სულში გიყურებენ პირდაპირ,“ — გაიფიქრა და გაიმგრა გული.

— განაგრძე, შვილო, განაგრძე!

მარინემ დახედა ხალათს, შემოატრიალა და ახლა გვერდიდან ჩააზმანა ყაითანი ჯიბის ნაკერს. მერე მშვიდად განაგრძო ხელსაქმე.

4

შუადღისას გაგამ ჩამოაქენა ცხენი.

ცხვრები დაფრთხნენ საფერხის თქარათქურზე, მიილაღნენ ხევის პირს და იქ გაირინდნენ.

ნუგზარი უმაღლე წამოდგა და მიაცქერდა გაცინებულს.

— მე მეგონა... ვინ არი-მეთქი!.. — დამცინავად იღრიჯებოდა იგი.

ცოტა არ იყოს, გული მოუვიდა ნუგზარს, მაგრამ არ შეიმჩნია.

— მაინც ვინ გეგონე?

— ირაკლი. ვიფიქრე, შევაჯიბრებთ-მეთქი ცხენებსა. აგდებული ლაპარაკი იცოდა გაგამ... ამიტომაც არ უთმენდნენ ზოგიერთები. ახლა დოღში გამარჯვებულივით ამაყად იჯდა უბელოზე, იკრიჭებოდა დამცინავად და აჩენდა თეთრ, ნაფოტა კბილებს. ჭერაც არ მოშუშებოდა მარცხენა ლაწვის თავზე. დამჩნეული იარა, გურამთან ჩხუბში რომ მიიღო სასოვრად.

იმაზე მიაცქერდა ახლა ნუგზარი.

გაგა კი იჯდა არხეინად და ხან მიუშვებდა აცმუკებულ ცხენს, ხანაც მოზიდავდა სადავეს და აიყალყებოდა ქურანი. მერე დასცემდა ფლოქვებს და ყელმოღერებული გაახრამუნებდა ლაგამს.

— მინდოდა გამეგო, ვაჯობებდი თუ ვერა ირაკლისა. იმ დღეს უნდა დაგვეჯიბრებინა ერთურთისთვის, მაგრამ შეეშინდა ჩემი.

— ეგ როდისღა უნდა მოგიჩქეს? — თვალთ ანიშნა იარაზე ნუგზარმა და ჩაიქირჩილა გულიანად.

— ესა? — უცბად წაუხდა ნირი გაგას და ლაწვზე მოისვა ხელი. — გიყვარდეს, მე იმას მოვცხე!.. ადვილად ვაჯიბროთ! აბა, მოჰყვება თუ არა შენი ცხენი!

— ვერაფერიც ვერ მოსცხე! მე იქ არ ვიყავი იმ დროსა?!

— მაშინ არა!.. მაშინ ხო გაგვაშველეს ბიჭებმა! მერე ჩავიგდე ცალკე და იმდენი ვურტყი, რო... შენი მოწონებული!.. მოდი აბა, დავაჯიბროთ ცხენები.

— ანდე, ნაიარევი გაგიღიზიანდება ქარზე!

მანეთს. ამიტომ გოგონა ხან სახეზე მიაცქერდებოდა დედას, ხანაც — ხელებში.

შემოაქერა ნათელამ ყაითანი და მერე ბავშვს მიაწოდა ხელსაქმე.

— აბა, ესლა შენა!

მარინემ დიდი ქალივით დაიდო მუხლებზე ძმის ხალათი, გაშალა კარგად და დააქერდა დედის ნახელავს — ლეგა შალს არშინასავით შევენოდა შავი ყაითანი და ღვინჭილები. მერე ზონარი დაადო გულჯიბებს და მოიმარჯვა ნემსი.

მდუმარედ მისჩერებოდა დედა ბავშვს. პატარა თათები, უსუსური მაკები... თვითონაც დაიხედა ნაჯაფ ხელებზე. მერე ისევ ბავშვს მიხედა. იგი ნელა და ფრთხილად უცვამდა ნემსს. ზოგჯერ უჭირდა მისი გაყრა, წვლობდა.

დედას ღმილი მოერია და სათითოე მოუტანა.

— აბა, შვილო, ესა! — უთხრა, თავადვე წამოაცვა შუათითზე. დიდი მოუვიდა და ახლა კერზე მოუსინჯა. ლალად ჰქონდა მაინც. დაახვია თიკვი და ისე წამოაცვა შუათითზე.

— როცა გაგიჭირდეს ნემსის გაყრა, ამით მიაწევი ხოლმე.

გოგონა ისევ დინჯად შეუდგა საქმეს. მერე უნებურად აუჩქარდა ხელი.

— ნელა, ნელა! — არიგებდა დედა. — კერებას, ქარგვასა და დაუთობას არ უყვარს სიჩქარე. ჩქარა შეიძლება კრიფო შვინდი, ზღმარტლი, ჩქარავე შეიძლება რეცხვა. მაგრამ კერება, ქარგვა, ბლანდვა კი — არა!

მარინემ მოუნელავა თანდათან. შევენოდა ნემსი და საკერავი. დაბრძნილი ქალის იერით მოსავდა ერთიბეწო გოგონს დედაკაცური ხელსაქმე.

გაღიმებული უყურებდა დედა.

— მარინე, გიყვარს ნუგზარი?



— რას ჩააცივდი ამაში? მეტი ველარაფერი ნახე სა-  
ლაპარაკო?

— იცი როგორ გიხდება? გხატავს პირდაპირ!

— თავი დაანებე ლაპარაკს და ადე. შევაჯიბროთ  
ცხენები!

— არ მინდა, დამანებე თავი!

— ნეტავი რას გელაპარაკები! — თქვა და აღმა შეაბ-  
რუნა გაგამ ცხენი, უცხუნა ქუსლები და ოთხხმით  
მოსწყვიტა ადგილიდან.

მირბოდა ქურანი და როგორღაც სასაცილოდ მოჩან-  
და მის ჯიდაოზე დასკუბული, ბეჭებში წახრილი გავა.  
მიეფარა თუ არა იგი თვალს, მობრუნდა ნუგზარი ცხვრე-  
ბისაკენ და გახედა ცხენსაც.

ხევის პირზე არხეინად ძოვდა ბალახს.

„ნეტა მეც თუ გავასავით გავაქცევ ცხენს? კიდევ  
კარგი, არ ჩამაკვიდა ძალიან. თორემ... რომ ჩამომავ-  
დოს წაბლამ, გავხდები კიდევ ბალღების სალაპარაკო...“  
ქვემოდან წამოუარა ბიჭმა ცხვარს, ამორეკა ცოტა ზე-  
ვით და წარათიდან დაუდგა სამწყსოა. ისევ წარმოუდგა  
გაგა. ხმელ-ხმელი. ფერმკრთალი, ბუმბა, ჭრიანტელა,  
მკვეხარა, ლაქლაქა... „ძალიან რო ჩამციებოდა. მე ვერ  
გავაჭენებდი იმნაირად... ვაითუ ჩამომავდოს და გადამ-  
ქელოს...“

— წაბლა! — დაუძახა მერე ცხენს, მოუტეხა პური  
და ხელგაწვდილი გაეშურა მისკენ. — რო შაგჯდე და  
გაგაქენო, ჩამომავდებ? — მიეფერა და შეაჭამა ლუცმა.  
თანაც ყბაზე მოუთათუნა ხელი.

სასიამოვნოდ ბალახობდა ცხვარი. იქვე ახლოს  
ცხენიც.

თვალს ადევნებდა ნუგზარი სამწყსოს... წამოწვა მე-  
რე, გაირინდა ფიჭრში და მოიწყინა თანდათან. როგორ  
უნდა გაძლოს სალამომდის? ახლავე როგორ უჭირს  
მარტობა! რა ქნან მწყემსებმა, ვინც თითქმის მთელ  
თავიანთ სიცოცხლეს ატარებენ ცხვარში? რომ ჰქონ-  
დეს ესლა ერთი კარგი წიგნი... მის კითხვაში ვერც კი  
გაიგებდა დაღამებას. მაგრამ მოსაწყენი გახდებოდა  
ისიც. რომ ვინმე ახლდეს თანატოლი, რა უჭირდა მაშინ!  
წამოდგა და მიმოიხედა ირგვლივ. მერე აიღო კენჭი...  
იქვე ახლოს ეგდო დიდი ლოდი. მივიდა და შემოხაზა  
ნიშანი. მერე დაიხია უკან, წავიდა კარგა შორს და ეს-  
როლა იქიდან. მოეცარა ხელი. მივიდა ახლოს და დას-  
ვირდა მონარტყამს... აკრიფა ბლომად კენჭები და გა-  
აჩაღა სროლა. ათიდან მარტო ოთხი მონარტყა ნიშანში.  
ეკეც მოსწყინდა და გაახსენდა თანატოლები. აი, მათთან  
რომ იყოს ახლა!.. აბა, ათიდან რამდენს გაარტყამდნენ  
ისინი, რამდენს — თვითონ!.. ისევ მოავროვა ქვეები და  
მოათვალიერა ცხვარი. შორს წასულიყვნენ ცოტათი,  
მაგრამ მაინც დაიწყო სროლა. ამ ჯერობაზე ხუთი გაარ-  
ტყა ათიდან. მერე ისევ გახედა ცხვარს და გაჰყვა ნელა.  
სამწყსოსთან ახლოს განაგრძობდა ამ თამაშს... უცბად  
სიმღერა მოესმა. გაგა ვაჰკიოდა ძველებურ მითულურს.  
დაფიქრდა და გაეღიმა მის წარმოდგენაზე... ახლა რომ  
იყოს მასთან!.. მარტო თამაშით კი არ შეიქცევდა თავს,  
ლაპარაკთაც. თუმცა დიდია იგი, მაგრამ პატარების-



ცხენმა გალექა და ნესტოების ბერვით მოაჩერდა  
ბიჭს.

— ეხლა კი ძოვე ბალახი, ძოვე! — უთხრა ბიჭმა და  
მოუღერა კომბალი.

თვითონ კი მოათვალიერა ცხვარი და დაუდგა ხევის  
მხრიდან. არა. ძნელი არ იქნებოდა მწყემსობა. — ოღონდ  
თვალის ჭერა კი უნდოდა ცხვარს. რომ არაფერი გაე-  
ტაცნა მგელს. მართლაც... რომ დასცემოდა საიდანმე...  
ამაზე როდისმე უნდა ჩამოუვდოს პაპას სიტყვა: რო-  
გორ მოიქცეს იმ შემთხვევაში? მაგრამ ალბათ არ არის,  
თორემ პაპა არ ანდობდა ამდენ ცხვარს. რამდენი ხა-  
ნია, აღარსად გავიწილა მგლის ჭაჭანება.

ბიჭმა ცხვარი გაღმა გარეკა, დააღვირა წყალი და  
გაშალა საძოვარზე, თვითონ კი დაჯდა ხევის პირს. მოი-  
ტეხა პური. მიატანა ყველიც და მალიანად შეექცა სა-  
ხარს. მერე წყალს დაეწაფა...

ვისაც კარგად იცის ჭაუის აყოლება. სხვები არ არიან  
ასეთები. რაღაცნაირად უჭირავთ თავი. გაგა კი... რატომ  
არ დააჯიბრა დილას? გაუსწრებდა თუ არა მისი ქურა-  
ნა წაბლას? მოირბენდეს მაინც! აჯობებდა თუ არა ქვის  
სროლაში? რა უჭირს. რომ მასთან ახლოს აბალახოს  
ცხვარი? ძნელია მარტობა... ჩაიღო თითები პირში  
და დაუსტვინა მთელი ხმით. მერე მიუვდო ყური.

გაგამ შეწყვიტა სიმღერა, გამოჩნდა და დაუსტვინა  
მანაც.

— მოდი აქა, მოდი! — დაუძახა ნუგზარმა და დაუქ-  
ნია ხელი.

— შენ მოდი აქა!

როგორ დაენებებინა ცხვრისთვის თავი? ვაითუ რა-  
ღაც დამართნოლათ უმეტვალყუროდ. ერიდებოდა პაპი-  
სა. არადა... ძალიან უნდოდა გაგასთან... იდგნენ და შო-  
რიდან უყურებდნენ ერთმანეთს.

მ მ გ ი ლ მ ს ა კ თ!

ლ ი ლ ა რ ი ა ა რ ლ ა ა ა

სექტემბერი, საოცნებო სექტემბერი,  
ყვავილების და ღიმილის უხვად თოვა, —  
მახსენდება... და მიდამო ირგვლივ მღერის, —  
კვლავ გადმოდის ჩემში წრფელი გულის თრთოლვა.  
თითქოს ახლაც რეკავს ჩემთვის სკოლის ზარი  
და ხმა მისი სხეულს ურწოლვის ჰანგით მივსებს, —  
აჰა, ჩანთით სკოლისაკენ მივიჩქარი  
და სოფლის გზას მოსდებია სიხალისე.  
როცა ვიყავ მეც პატარა, თქვენი კბილა,  
მეც ხომ მყავდა გუთნისდედა, ცოდნის მეხრე,  
ახლა, როცა მასწავლებლებს ვხვდები თბილად,  
გონების თვალს მიმოვავლებ სკოლის მერნებს.

და... გილოცავთ თქვენს ახალ წელს, პატარებო!  
(მასწავლებლებს, რა თქმა უნდა, წრფელი გულით).  
ჩვენი ქვეყნის სამერმისო მწვანე ფრთებო,  
აგისრულდეთ სასიკეთოდ განზრახული.  
თქვენი მეკვლე იყოს მარტო ფრიადები,  
სულ სიხარულს გაპირდებოდეთ სკოლის ზარი;  
სიბეჯითით თუ კი მწვერვალს მიაღვებით,  
არ დაგხვდებათ დაკეტილი ცოდნის კარი.  
სექტემბერი, საყვარელი სექტემბერი,  
ყვავილების და ღიმილის ერთად თოვა, —  
მახსენდება... და მიდამო ირგვლივ მღერის,  
კვლავ გადმოდის ჩემში თქვენი გულის თრთოლვა.

კვლავ წკრიალევენ სკოლის ზარები

ლ ი ლ ა რ ი ა ა რ ლ ა ა ა

ნათიას და ირინას

კვლავ წკრიალევენ  
სკოლის ზარები,  
კვლავ ბრწყინავს შუქი  
ამ ნათელი ცის...  
თქვენც ნურასოდეს  
დაგეზარებათ  
სწავლა და გარჯა,  
აბა, თქვენ იცით,  
რწმენა  
აზრით და ცოდნით

მტკიცდება,  
რწმენაა  
დიდი საქმის მშობელი,  
რომ მიუღწევლის  
შეძლოთ მიღწევა,  
შეიცნოთ  
დღემდე შეუცნობელი.  
სამშობლო...  
მხოლოდ ის ერთადერთი —  
ის არაფერზე არ გაიცვლება.

ცოდნა, სიმართლე,  
შრომა, სიკეთე —  
აი, ნამდვილი კაცის ღირსება.  
კვლავ წკრიალევენ  
სკოლის ზარები,  
კვლავ ბრწყინავს ზეცა  
ამ ნათელი ცის...  
თქვენც ნურასოდეს  
დაგეზარებათ  
სწავლა და გარჯა,  
აბა, თქვენ იცით!

— თუ დამაჯიბრებ ცხენს, ჩამოვალ! — დაუძახა  
გაგამ.  
არ უნდოდა ნუგზარს დაჯიბრება.  
— მოდი, ქვის სროლაში დავეჯიბროთ ერთმანეთს!  
— თუ გაჯობე, რას მომცემ?  
რა უნდა მიეცა, აბა! რა ჰქონდა ისეთი? ვაშლი მაინც  
რომ ჰქონოდა... მაგრამ ვაშლი ჯერ ბარშიც არ იქნებო-  
და მოწეული. არაფერი გააჩნდა იმისთანა... არადა ძა-  
ლიან უნდოდა გაგასთან თამაში. მერე მოაგონდა უცბად:  
— მე თუ გაჯობე, შენ რაღას მამცემ? — დაუძახა  
და უმალვე გაუარა უხერხულობამ.  
გაგა აგვიანებდა პასუხს. ალბათ ფიქრობდა, რა უფრო  
გამეტებოდა საჩუქრად. ეტყობა, მასაც არაფერი ჰქონ-  
და ისეთი.  
— რა საჭიროა მიცემ-მომცემა? ეგრე შევეჯიბროთ  
ერთმანეთს. ვნახოთ, რომელი გაჯობებთ! — დაუძახა  
ნუგზარმა.  
— რატომ არ გინდა დავაჯიბროთ ცხენები?  
— ქვის სროლაში შევეჯიბროთ ჯერა!  
გაგამ დააყოვნა პასუხი.  
„რას ჩააცვიდა ცხენს? ალბათ მიხვდა, რომ მეშინი-  
ანი! რა გახდა, ბოლოს და ბოლოს? დაე, რაც მოხდებ-  
ა, მოხდეს!.. ადრე თუ გვიან, ხომ მაინც უნდა... გავ-  
წირავ თავს ამ ერთხელ! გაგაც ხომ ჩემნაირ დღეში იქ-  
ნებოდა პირველად? მაგრამ ისწავლა მერე“... მიხვდა  
ცხენს ნუგზარმა.  
ახლოს ბლღერძდა ბალახს წაბლა. ბიჭმა დაუძახა  
და გაეშურა მისკენ. თანაც შემოიბრუნა გულა და პა-

ტარა ლუკმა წაატეხა პურს.  
დაიფრუტუნა და გამოხედა ცხენმა. როცა მიხვდა, რა  
სასუსნავიც ელოდა, თვითონაც გადმოდგა რამდენიმე  
ნახიჯი ბიჭისკენ.  
მიუალერსა ბიჭმა და შეაჭამა პური. მერე აკეცა ათრე-  
ული ჯაჭვი და გახედა იმ ლოდს, რომელსაც წილან  
ქვებს ესროდა. ცხენი იქ მიაყენა. შეჯდა და ნელა წა-  
იყვანა გაგასკენ.  
— ძალიან რო გამიწყალე გული, მოდი, აბა!  
— ჩამოხე და ვილაპარაკოთ ჯერა, რა გეჩქარება?  
უმალვე რაღაცნაირად მოეშვა გულზე ნუგზარს. ჩამო-  
ხტა და ისევ გაუშვა ბალახზე, თანაც მოათვალიერა  
ცხვრები. გაგანთ არასოდეს ჰყოლიათ ამდენი. ახლა...  
გაუკვირდა და შემოუბრუნდა უცბად.  
— სუ თქვენებია? რომ არა გყავდათ ამდენი!  
გაგამ ეშმაკურად გაიღიმა და გახედა ცხვრებს. მე-  
რე მოუბრუნდა კვლავ:  
— ერთ რაღაცას გეტყვი, თუ არ გამოთქვამ!  
— რა საკადრისია ვათქმა! მაგრამ თუ საიდუმლოა.  
ნუ იტყვი, რა!..  
— არა გაქვ თავის იმედი?  
— როგორ არა. მაგრამ...  
— ჰოდა, ვიტყვი, ოღონდ არ თქვა არსად!.. მე ხომ  
ყველაფერს გულახდილად ვლაპარაკობ შენთან. არა  
ვმალავ არაფერს!..  
კინაღამ გაცვინა ამ სიტყვებზე... თითქოს დიდ რაღა-  
ცას ამდღილია ამით გაგა! როდის უწინ იყო მისი მესა-  
იდუმლოე?..



— ერთი რამე რო გასწავლო, რას მამცემ?  
 „ისევ — რას მამცემ!“ — გაიფიქრა და გაეცინა ხმამაღლა. მერე უთხრა გასუმრებით:  
 — მე რო შაგინახო ის საიდუმლო, შენ რაღას მამცემ?  
 — მე რატო უნდა მოგცე? შენ გეაუთვნის მოცემა!  
 — არ მინდა, ნუ მეტყვი!  
 — იცი, რა კარგი რაღაცაა? გეტყვი, საიდან ვიშოვნეთ ცხვრები!  
 — აბა რაში მეკითხება, საიდან იშოვნეთ? მოდი, ქვის სროლაში შევეჯიბროთ ერთმანეთს. ვინ უფრო მეტს გაატყვამს მიზანში!  
 — შევეჯიბროთ! თუ გაჯობე, რას მამცემ?  
 „ისევ!“...  
 — მე თუ გაჯობე, შენ რაღას მამცემ?  
 დაიხედა ტანზე. მერე ქამრის ბალთებზე წაივლო ხელი:  
 — აი, ამასა!  
 დააკვირდა ბრწყვილა ვერცხლს. არაფერი არ უნდოდა გაგასი! ეს რაღა თამაში იქნებოდა. თუკი ჯობნის სანაცვლოდ რაიმეს გამოსძალავდნენ ერთმანეთს?  
 — არ მინდა არაფერი! ვითამაშოთ ისე!  
 — თუ მოგიგე, რას მამცემ?  
 — რას გამიწყალე გული? — უთხრა ცოტა შეტევით და მიხედა ცხენს.  
 იქვე ახლოს, ქურანასთან ბალახობდა წაბლა. ცხვრებიც აქეთ მოჰყვებოდნენ ძოვნიტ.  
 — კარგი. ჰოო, ისე ვითამაშოთ! — დაჰყვა ბოლოს გაგა.  
 წამოკრიფეს ქვები და მიმოიხედა ნუგზარმა ირგვლივ. იქ ახლოს არსად ეგდო ლოდი. მერე გოქმო — ტანმალა ბალახი აირჩია სამიზნედ.  
 — მაგას ხო ვერ გავარტყამთ ვერც ერთა!... — თქვა გაგამ და ჯოხით შემოხაზა წრე აბალახებულ მიწაზე, იქიდან გადათვალა ოკი ნაბიჯი, ჯოხითვე მონიშნა დასადგომი ადგილიც. დააგროვა ქვები და შეუდგა სროლა. წრის აქეთ-იქით კვიოდა ნასროლი კენჭები. მართო ერთი ჩავარდა შიგნით, ისიც გადაგორდა და გაჩერდა წრეხაზს გარეთ.  
 — ითვლება? — იკითხა გაგამ.  
 — კი!  
 გაგა გამხნევდა. მერე დახედა კენჭებს. სამილა მორჩენოდა მუჭში. მეტი სიფრთხილე მართებდა ახლა. გაიწოდა ხელი წრეხაზისკენ და ჩაჭუტა თვალი: ვითომ უფრო ამოიღო მიზანში. მერე გაახილა ისევ და ესროლა ფრთხილად. შორს დაეცა ქვა. საგანგებოდ მომ-

ზადებულა უფრო არ გამოუვიდა სროლაში მუჭი დაუდევრად გადაადგო მეცხრე. წრეხაზიდან წამოიწია ისიც. რჩებოდა ერთადერთი და უკანასკნელი. ისევ გაფრთხილდა გაგა; თვალით კარგად გაზომა მანძილი, ისროლა. მართალია, ვერ ჩავარდა შიგ, მაგრამ ძალიან ახლოს კი დაეცა ნიშანთან.  
 — მე ეგ ერთი მაინც ჩავაგდე, აბა შენ!.. — წამოიძახა და გადგა განზე.  
 ნუგზარმა გახედა წრეხაზს და ისროლა დაკვირვებით. მიზანში მოხვდა კენჭი, გადატრიალდა ორიოდეჯერ და გაჩერდა წრეხაზშივე. გაუხარდა ბიჭს და მოემზადა კვლავ. ჩანდა, ამაოდ არ ჩაეგლო დილანდელ ვარჯიშს. ისროლა მეორე და ჩააგდო ისიც. მერე მიხედა ნიშანძლოდ გაგას.  
 — ვისროლო დანარჩენებიცა?  
 — დავიწყეთ ისევ თავიდან! — შესძახა მან და შეუდგა დაცვენილი კენჭების აკრეფას.  
 — გაჯობე. რას მომცემ? — შეეკითხა ნუგზარი სიცილით.  
 გაგამ შემოიხსნა ქამარი და გაუწოდა უსიტყვოდ.  
 — არ მინდა, გემსახრე!  
 — დაიჭი!  
 — არ მინდა-მეთქი!  
 — დაიჭი, რო გეუბნები! ამ ჯერობაზე მე გაჯობებ და ისევ დავიბრუნებ ჩემსას! — წამოიძახა და მიაჩერა ძალად. მერე ისევ დაიწყა სროლა. ესროლა ერთი, მეორე, მესამე, მეოთხე... წრეხაზიდან შორს კვიოდნენ კენჭები და გაგას თანდათან ეტყობოდა გულის მოსვლა.  
 — ნელა, დაკვირვებით! — არიგებდა ნუგზარი.  
 გაგა კი ისროდა გაფიცვებით. მაგრამ არც ერთი არ ეკარებოდა მიზანს. ბოლოს, როცა შემორჩა უკანასკნელი ქვა, მაშინ კი დინჯად დაიჭირა თავი, მაგრამ ამაოდ დაშვრა ამჯერადაც. გადგა ბოლოს განზე და გაჯავრებული მიუბრუნდა ნუგზარს:  
 — შენ სულ ვერც ერთს ვერ ჩააგდე!  
 — ვნახოთ, შეიძლება! — უპასუხა და ესროლა დაკვირვებით.  
 კენჭი დაეცა წრეხაზს შიგნით და აუტყდა ბიჭს სიცილი. მერე მიუბრუნდა გაგას:  
 — აბა რაღაზე ვისროლო დანარჩენები? გაჯობე ამ ერთითვე!  
 გაგა არ იღებდა ხმას.  
 — მეორე ჯერობაზე მოვიგებ ჩემს ქამარსაო... აბა, მოიგე? ეხლა რაღას მამცემ?


(ბაბრძილია მ-16 გვ.)



ბ. ძნელაძის სახელობის  
პროფის ნითელი ღკოვის ორღანოსონ  
პიონერთა ღა მოსწავლეთა  
რესპუბლიკური სსახლს

40

წელი  
შეუსრულღ



**ზარი,** რომელიც თითოეულ თქვენგანს სკოლის მერხისაკენ იზმობს, სასახლის ნათელ დარბაზებში და დერეფნებში არ ირეკება. მაგრამ აქეთენ მომავალთა ფეხისხმა არასოდეს არ წყდება, დილიდან გვიან საღამომდე ისმის ხოლმე ნორჩ ლენინელთა წკრიალა ხმები.

ხოლო ვინც მოსვლას ვერ ახერხებს?

...იხსნება კონვერტები. საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან იწერებები პიონერები. ისინი გვწერენ ყოველთვის, მთელი წლის მანძილზე — წელიწადის ყველა დროს ხომ ნორჩი ლენინელებისათვის, პიონერხელმძღვანელებისათვის თა-

ნერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლეში მოსულმა მოსწავლემ.

...პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლემ (თავიდან ასე ერქვა მას) ფეხი 1941 წელს აიდღა. 2 მაისს მიღეს თბილისელმა ბავშვებმა ჩვე-

მშვიდობიანი დღეების რიტმი, მაგრამ — მხოლოდ 22 ივნისის განთიადმდე... შემდეგ ათას ცხრაას თვრამეტი დღის მძიმე ბრძოლა დასჭირღ ამ მშვიდობიანი დღეების დაბრუნებას... ეს იყო გმირობა ფრონტის ხაზზე და ღრმა ზურღში,

**თეზური ქღანგი.**

ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორი

# ყველასათვის გუოგლიუვი

ვისი საზრუნავი მოაქვს, და სასახლის მუშაკებიც მუღად მზად არიან მათი სამსახურისათვის. ბარათები მოღის სსრ კავშირის ყველა კუთხიდან და საზღვარგარეთის ქვეყნებდან. ამ 40 წლის მანძილზე სასახლის კედლებში აღზრდილებმა უამრავი მოძმერესაბუღიკელი თუ უცხოელი მეგობარი შეიძინეს. ისინი, ახლა უკვე მოწიფული ადამიანები, ხშირად სიხარულით შემოაღებენ ხოლმე იმ დარბაზების, კაბინეტ-ლაბორატორიების კარებს. საღაც მათ ასწავლიდნენ მნიშვნელოვან მეცნიერებას — როგორ უნდა გამოიყენოს მოსწავლემ თავისუფალი დრო, გონივრულად შეავსოს იგი, აქტიურად ჩაერთოს პიონერთა სახლისა თუ სასახლის, ნორჩ ტექნიკოსთა, ტურისტთა, ნატურალისტთა საღგურებში შექმნილი წრეების, კლუბებისა თუ სხვა გაერთიანებების მუშაობაში.

ჰოღა, ვინ იცის, ამ 40 წლის მანძილზე რამდენი მშენებლის, პედაგოგის, აგრონომის, ექიმის, ზეინკლის, გეოლოგის, ასტრონომის თუ სხვა პროფესიის საღირკველს მიავნო ბორის ძნელაძის სახელობის პიონ-

ნი პარტიისა და მთავრობის დიდი საჩუქარი. ასე იყო მაშინ, ჩვენს ქვეყანაში ყველგან იგრძნობოღა

მთელი ხალხის უკვდავი გმირობა: თბილისის პიონერთა სასახლის ნორჩმა ლენინელებმა იცოდნენ, რის



ინტერნაციონალური მეგობროვის კლუბში მუღად ხალხმრავლობა.



„მზიურმა“  
პრანახული  
ტრიუპით  
შემოიარა  
მსოფლიოს  
ბავარი  
ჰვენანა,  
ჰამბურგ  
აღამიანს  
მოავხარა  
სინარულის  
ცრემლი...

ჯანაშია, ნიკო კეცხოველი, პოეტები გიორგი ლეონიძე, იოსებ კრიშტიანი, ლი, მწერლები კონსტანტინე კახიანი, ხურდია, გერონტი ქიქოძე, ლევან გოთუა, ცნობილი ალპინისტი ალი-ომა ჯაფარიძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტები ს. ზაქარიაძე, ვ. კახლოვი, ვ. ნემიროვიჩი-დანჩენკო; სასახლეს დღემდე არ მოჰკლებია ჩვენი მწერლების, მოწინავე ინტელიგენციის ყურადღება, ისინი აქტიურად მონაწილეობენ სასახლის დიდი კოლექტივის ცხოვრებაში. მათი დახმარებით აღზრდილ აქტივისტთა სახელებით ამაყობს დღეს ჩვენი სასახლე. სწორედ მისი აქტივის პირველი თაობიდან მოდიან კინორეჟისორი ლანა დოლობერიძე, დრამატურგი რეზო თაბუკაშვილი, მხატვარი გოგი თოთიბაძე, ისტორიკოსი ლაშა ჯანაშია, პოეტი ნაზი კილასონია, კრიტიკოსი გურამ ასათიანი, მწერალი გურამ რჩეულიშვილი, ჟურნალისტები დევი და მელიორ სტურუები, ცნობილი მოჭადრაკე ტიგრან პეტროსიანი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნოდარ ანდლულაძე, ცნობილი ალპინისტი და ფოტოხელოვანი გურამ თიქანაძე და სხვები...

დღითი დღე, წლითი წლობით იზრდება და ნორჩების უსაზღვრო სიყვარულს იხვეჭს ჩვენი სასახლე. 1945 წლიდან ტარდება მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი რესპუბლიკური კონფერენციები. პირველ კონფერენციაში საქართველოს 7 რაიონის 247 მოსწავლე მონაწილეობდა. მას შემდეგ ყოველწლიურად ტარდება რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობის ცოდნის, უნარისა და შესაძლებლობათა დიდი ფორუმი. წლებულს 36-ე კონფერენცია ჩატარდა, რომელშიც რამდენიმე ათასი მოზარდი მონაწილეობდა; დაჯილდოვდა 410 მოსწავლე.

ფასად დაუჯდა ჩვენს სახელმწიფოს ეს ბრძოლა, ეს გამარჯვება. იმ წლებში სასახლე ზურგის განმტკიცების სამსახურში იდგა. ნორჩმა ლენინელებმა იცოდნენ, რომ ზურგის სიმტკიცე ისევე იყო საჭირო, როგორც თავდადება — ბრძოლის წინა ხაზზე. იმ წლებში ბევრი რამ გააკეთეს ფრონტისათვის პატარების ხელეხმარება. ისინი მებრძოლებისათვის ქსოვდნენ თბილ წინდებს, ხელთათმანებს, სტამბიდან მღვთიანი ჩამონაჭერი ქალღმერთებისაგან აკეთებდნენ კონვერტებს, მუყაოსაგან — პაწია თოჯინებს, მინდვრად კრეფდნენ სამკურნალო ბალახებს, ევაკუირებულ ბავშვებისათვის აგროვებდნენ თბილ ტანსაცმელს. სასახლის საწყობის წინ ზვინებდა იყო დახვედრებული მათ მიერ მღვთიანი ტანსაცმელი, რომლის შეგროვებას და ადგილებზე გადაგზავნას უშუალოდ ხელმძღვანელობდა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მამინდელი მდივანი ნინო ევაზია.

მოდიოდნენ მაძიებელი, შემოქმედი ბავშვები, ის მოსწავლეები, რომლებიც არ კმაყოფილდებოდნენ სკოლაში მიღებული ცოდნით, მეტი სურდათ, მეტს მიესწრაფოდნენ. გაჩაღდა საინტერესო მუშაობა. დაიწყო პირველი შეხვედრები. მოვადნენ პირველი სტუმრები — ესპანეთის კომუნისტთა ლიდერი დოლორეს იბარური, აკადემიკოსები სიმონ



რომანტიკით იყო აღსავსე პიონერთა სასახლის პირველივე ნაბიჯები,

ახლა სასახლის 9 განყოფილებაში მუშაობს 150 დასახელების 700-მდე წრე, მოსწავლეთა სხვადასხვა სახის 40-მდე გაერთიანება — კლუბები, შტაბები, სამეცნიერო საზოგადოებები, ლექტორიუმები, სკოლები, აქტივის საბჭოები, რომლებშიც მონაწილეობს თბილისისა და დედაქალაქის ახლომდებარე რაიონების სკოლათა 10 000 მოსწავლე. პიონერთა განკარგულებაშია თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორიები, ოთახები, დარბაზები, მრავალტირაჟიანი გაზეთი „გაზაფხული“, სასწავლო სტამბა (სადაც იბეჭდება „გაზაფხული“ და მეთოდური ლიტერატურა); პიონერთა განკარგულებაშია სასახლის 3 ჰექტარი ფართობი, დეკორატიული ბაღი და „მზიანეთი“ — საზაფხულო ბანაკი შავი ზღვის სანაპიროზე. სასახლე მრავალი სახის სასწავლო-აღმზრდელი, მეთოდურ-საკონსულტაციო და მასობრივ მუშაობას ახორციელებს თბილისსა და მთელს რესპუბლიკაში.

სასახლის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ მეცნიერები, წარმოებათა მოწინავენი, ნოვატორები, რაციონალიზატორები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები, წითელი არმიის მებრძოლები, პიონერული და კომკავშირული მოძრაობის ვეტერანები; უფროს პიონერხელმძღვანელთა, რაზმის ხელმძღვანელთა, კომკავშირული აქტივის სკოლების გვერდით მოქმედებენ პიონერთა საქალაქო შტაბი „კოკონი“, სახლმმართველობებთან არსებული ნორჩ ინტერნაციონალისტთა სკოლები.

დიდი პოპულარობით სარგებლობენ მოსწავლეთა გაერთიანებები: ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბი, ისტორიულ-მხარეთმცოდნეობითი რესპუბლიკური საზოგადოება „ნორჩი მკვლევარი“, სადაც

მუშაობენ ნორჩ ისტორიკოსთა, მემატიანეთა, ეთნოგრაფთა, არქეოლოგთა, ძეგლის მეგობართა, კოლექციონერთა სექციები; ნორჩმა მხარეთმცოდნეებმა მონაწილეობა მიიღეს ეთნოგრაფთა და ანთროპოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმებში: 1964 წელს მოსკოვში და 1968 წელს — ტოკიოში.

საინტერესოდ მუშაობს „ქართული ენის საუფე“. მას რესპუბლიკის რაიონებში აქვს შექმნილი ნორჩ ეთნოგრაფთა, ლექსიკოლოგთა, დიალექტოლოგთა, ენის მოყვარულთა ფილიალები; ნორჩ ფოლკლორისტთა კლუბი „ირმისა“ აგროვებს ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს.


ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების 25 სხვადასხვა სახის 200-მდე წრე და 10 კოლექტივი 2 000 ბავშვს აერთიანებს. საყოველთაოდ ცნობილ „ცისარტყელაში“ გაერთიანებულია 7 საუკეთესო კოლექტივი, მათ შორის პიონერული გუნდი, ხალხურ საკრავთა ორკესტრი „საუფე“, გოგონათა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „გორდა“ და ბიჭუნების ვოკალური ჯგუფი „მირანგულა“; „ცისარტყელამ“ 1976 წელს მიიღო საკავშირო ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატის წოდება პიონერთა და მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის საქმეში გაწეული მუშაობისათვის. მიღებული თანხა პიონერებმა მშვიდობის ფონდში ჩარიცხეს. ამავე ფონდს გადაეცა სპორტის სასახლეში გამართული კონცერტის შემოსავალი.

სასახლის ნორჩმა მოძღვრებმა თუ მოცეკვავეებმა გვასახელეს კუბაში, ჰოლანდიაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რუმინეთში, ბულგარეთში, პორტუგალიაში, ესპანეთში, თურქეთში, საბერძნეთში, კვიპროსზე, მალტაში გამართული კონცერტებით.

სასახლის დერეფნებს ამშვენებს პიონერთა ნამუშევრები ხატვა-ფერწერის, ქანდაკება-ძერწვის, გამოყენებითი ხელოვნების დარგებში. მათ არაერთხელ გაუმარჯვნიათ ბავშვთა ნამუშევრების რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებზე. აღსანიშნავია, რომ ნორჩი მხატვრის, თბილისელი მეშვიდე-კლასელის არჩილ ვეფხვაძის ნამუშევარი მოსკოვის პუშკინის სახელობის მუზეუმმა დაიტოვა და ოქროს ფონდში შეიტანა; ყოველთვის წარმატებით მიმდინარეობს ნორჩ მხატვრულთა კონკურსები, რომელიც უკვე მეოცედ ტარდება. საფუძველი ჩაეყარა ნორჩ არქიტექტორთა რესპუბლიკურ კონკურსებს. სასახლის ნორჩ არქიტექტორთა მიერ შემუშავებული საბრძოლო დღეების ობელისკის პროექტი სპეციალისტებმა მოიწონეს და რეკომენდებულია გორის რაიონის სოფელ ზერტში დასადგმელად. მოწონებას იმსახურებს ნორჩი ტექნიკოსების, ავიამოდელისტების, გემთმშენებლების, რადიომოყვარულთა წარმატებები რესპუბლიკურ, საკავშირო შეკრებებსა და საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენებზე.

„ჩვენი სასახლე“, „მშობლიური სასახლე“ — ასე უწოდებენ მას დღეს არა მარტო პიონერები, არამედ უფროსებიც. ვინც ადრე ზიარებია მის სიკეთეს.

...მომსვლელთა ფეხის ხმა წუთითაც არ წყდება... აქ სკოლის ზარი არ ირეკება, მაგრამ ისმის სიმბოლური ზარის წკრიალი, რომელიც 40 წლის მანძილზე ყველა ნიჭიერ მოზარდს უხმობს აქეთ — სასახლის ოქტომბრელთა, პიონერთა და კომკავშირელთა შემოქმედი კოლექტივისაკენ.



ჰანდაკეპას ბაჯითი,  
გულმოდგინე შრომა  
სპირდება.

ხანდაზან ვადრაკიძე,  
ამ სერიოზულ თამაშში,  
კეთდება სასაცილო სვლა.

სამკრალ ლაშაია  
ზოგჯერ ბრიგონომატი  
რული ამოცანის ამოხსნა!

საქართველოს ძველთაგანვე ორი დაუძინებელი მტერი ჰყავდა. ჯერ იყო და, შემოსეული ურდოები ანადგურებდნენ ქართველობას და მის მიწა-წყალს, ართმევდნენ საქონელს, ჩეხავდნენ ვენახებს, სობდნენ ხეხილის ბაღებს, ანგრევდნენ და ცეცხლს აძლევდნენ ეკლესია-მონასტრებს, ტყვედ მიერეკებოდნენ ქალსა და კაცს.

დიდი რუსი ხალხის დახმარებით ქართველმა კაცმა გარეშე მტერი ჩამოიშორა და თავისუფლად ამოისუნთქა მამაპაპეულ მიწაზე, მაგრამ ვერ იქნა და ჯერჯერობით საბოლოოდ ვერ დაამარცხა მეორე მტერი — ბუნების ისეთი მოვლენები, როგორცაა: სეტყვა, წყალდიდობები და უეცრად მოვარდნილი ღვარცოფები. ბუნების ეს მრისხანება დიდ ეკონომიკურ ზარალს აყენებს აღმოსავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით კი — კახეთს. ამ ზაფხულს საგარეჯოს ვენახები და ნაწილობრივ გურჯაანისა და თელავის რაიონების ზვრები ჯერ სეტყვამ ჩამოსხეპა, მერე კი კოკისპირულმა წვიმებმა და წყალდიდობებმა დააზარალა. მთელი წლის ნაშრომ-ნაამაგარი ერთ დღეში განადგურების პირამდე მივიდა. გული ეტკინა მიწის მუშას, მევენახეს, მეხილეს, მესაქონლეს, მთელ საქართველოს. მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რომ ქართველ კაცს ფარ-ხმალი უარეს განსაცდელშიც არ დაუყრია. ასე მოხდა ამჯერადაც. ქუდზე აცვიო! — და მთელი საქართველო მხარში ამოუდგა კახელ გლეხკაცს. თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, მახარაძის და სხვა ქალაქების წარმოება-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურენი, ბარებით, ნიჩბებითა და თოხებით შეიარაღებულნი, ავტობუსებით გაემგზავრნენ ბუნების სტიქიით დაზარალებულ რაიონებში. მოხალისეებმა დატბორილი ზვრები და ხეხილის ბაღები შლამისა და ქვა-ლორღისაგან გაასუფთავეს და გაწმინდეს, წაქცეული ვაზები ფეხზე დააყენეს და თავიდან აახვიეს. ერთსულოვანმა შრომამ ნაყოფი მალე გამოიღო. ისევ იხარავაზმა, ხეხილმა და, როცა „მწვანე ოპერაციების“ ჩატარების დრო დადგა, უფროებს მხარში ამოუდგნენ ჩვენი სახელოვანი ნორჩი ლენინელები, პიონერ-მოსწავლეები. სასკოლო არადადეგების პერიოდში გურჯაანის რაიონში ბაკურციხელებს თბილისის მე-18 და 24-ე სკოლების პიონერ-მოსწავლეებიც მიეშველნენ. რაიონის მშრომელებს დიდი დახმარება გაუწიეს მოსკოვის 871-ე სკოლის უფროსკლასელებმაც, რომ-

ჩვენი პიონერული  
წვლილი—  
XI ხუთწლელს!



# ქუდზე მარში მასში!



დავით გოდარძიშვილი და ზურაბ მამისწარაშვილი ეხმარებიან მუშაობას თიბვას.

ლებიც აქ თითქმის ყოველწლიურად მოდიან და შრომით სემესტრის ბაკურციხეში ატარებენ.

დადგა არდადეგები და ბაკურციხის საშუალო სკოლაში ჩამოყალიბდა ორი შრომითი ბრიგადა სამოცდაათი პიონერ-მოსწავლის რაოდენობით. პირველ ბრიგადას სათავეში ჩაუდგა სკოლის ბიბლიოთეკარი ამალია ჯანყარაშვილი, მეორეს — სამხედრო საქმის მასწავლებელი ვანო მესხიშვილი. ორივე ბრიგადის წევრები დილაუთენია სკოლის ეზოში გროვდებოდნენ და მოუთმენლად ელოდნენ მეურნეობის მანქანას, რომელსაც შრომის ენთუზიასტები ვენახებსა და ბაღებში გაჰყავდა.

— შოთა ძია მოვიდა, შოთა ძია! — შესძახებდნენ გახარებული ბავშვები და უცილ-ხივილით შემოეხვეოდნენ ხოლმე მანქანას.

— აბა, ბჭებო! გოგონები წინ დასვით, პატივი ეცით. ესეც არ იყოს, ხომ იცით, ამ გაუთავებელმა ავღრებმა ჩვენი გზები რა დღეში ჩააგდო, — მზრუნველად აფრთხილებდა ბავშვებს მძლოლი შოთა ქუმისაშვილი. — ამ გუბეებსა და ტალახში შეიძლება საბურავები მოცურდეს, ყურადღებით იყავით და ერთმანეთს ჩაეჭიდეთ.

— ფიქრი ნუ გაქვთ, შოთა ძია! — თავის მხრივ პიონერებიც ამხნევებდნენ მძლოლს და მანქანაც ფრთხილად იძვროდა ადგილიდან.

ბაკურციხის მეურნეობა „ტექნიკუმსა“ და საშუალო სკოლას შორის დაიდო შრომითი ხელშეკრულება, რომლის მიხედვით სკოლის ორივე ბრიგადას 1200 მანეთის ღირებულების სამუშაო უნდა შეესრულებინა. პიონერ-მოსწავლეებმა ეს დადგა დიდი გადაჭარბებით გაანადგურა — 1995 მანეთის სამუშაო შეასრულეს.

იმ დღეს სეკატორებითა და სამყნობი დანებით შეიარაღებული ბაკურციხელი პიონერები მეურნეობის ვენახებს შეესივნენ და „ცის გახსნას“ შეუდგნენ.

ეს ტერმინი ბევრმა პირველად გაიგონა.

— გოგო, ლელავ! მაკრატლით ცის გახსნა როგორ შეიძლება? — ხმადაბლა ჰკითხა ირინე ჯამასპაშვილმა ლელა ჯაღუგიშვილს.

— აბა რა ვიცი, სად ჩვენა და სად — ცა! — ასევე ჩაუენაკვიმატა ლელამაც.

გოგონების ამ საუბარს ყური მოჰკრა ბრიგადის ხელმძღვანელმა ამალია ჯანყარაშვილმა. გაეღიმა და გოგონებს მიუახლოვდა.

— ვენახის მწვანე ოპერაციებში

სწორედ იმას ჰქვია „ცის გახსნა“, რასაც ახლა თქვენ აკეთებთ, — დინჯად აუხსნა ბრიგადირმა მათ. — ვაზის ზედმეტი ყლორტები, რომლებიც მალა მიიწვევენ, შეიძლება ერთმანეთს გადაესლართონ და მცენარის ძირითადი, ნაყოფის მომცემი ნაწილი მზის სხივებისაგან დაჩრდილონ. ჰოდა, მტევანი დამწიფებას ვეღარ მოასწრებს...

— მიფხვდით, ამალია მასწავლებლო! — შეაწყვეტინეს გოგონებმა. — რა ლამაზად შეურქმევიათ სახელი, მართლაც რომ ცის გახსნა!

ხელშეკრულების თანახმად, ბაკურციხელ პიონერ-მოსწავლეებს მეურნეობის ოთხ ჰექტარ ვენახში უნდა ჩაეტარებინათ „ცის გახსნა“. მათ ეს დავალებაც დიდი გადაჭარბებით შეასრულეს.

მწვანე ოპერაციების პარალელურად მიმდინარეობდა სენაყის დამზადებაც. გემის თანახმად, უნდა მოეთიბათ და დაეზინაფებინათ 20 ტონა საკვები. პიონერ-მოსწავლეებმა აქაც ისახელეს თავი. ოპერაციაში „ნობათი წიქარას“ ორივე ბრიგადის სამოცდაათივე გოგო-ბიჭი ლებულობდა აქტიურ მონაწილეობას. ბიჭები ბალახს თიბავდნენ, გოგონები ბულულეზად დგამდნენ.

გელა ქრისტესიაშვილი და ივანე ბიწაშვილი მეშვიდეკლასელები არიან. ცელის ოსტატურად მოსმასი ასაკს სულაც არ შეუშლიდა ხელი მათთვის. არც დავით გოდერძიშვილი-

სა და ზურაბ მამესწარაშვილს დაუკლიათ ცდა. ისინი სათიბს ჰქვემოდან მისდგომოდნენ და იქ აელვებდნენ თავიანთ ცელებს...

ზაფხულში სამუშაოს რა გამოლევს, ისიც — ბალსა და ვენახში. სილოსის დამზადებას რომ მორჩნენ, ბავშვებმა ვენახში გადაინაცვლეს. აქ სარეველა მომძლავრებულიყო და ფურჩვაც სასწრაფოდ უნდა დაწყებულიყო. ბიჭებმა ახლა თოხებს გაუღესეს პირები და გახურდა თოხნა. რიგს რიგი მიჰყვებოდა, თანდათან იწმინდებოდა ვაზის ძირები სარეველებისაგან, ნიავეს ლალად დაუარა ვენახს ჰქვემოდან და თავისუფლად ამოასუნთქა.

— უნდა გენახათ, რა გამალებით იქნევენ თოხებს მეშვიდეკლასელები გელა სიმონიშვილი, პაატა ბაწანაშვილი, რეზო თიბალაშვილი და სხვები. — სიამოვნებით აღნიშნა ბრიგადირმა ამალია ჯანყარაშვილმა.

ბიჭებს არც გოგონები რჩებოდნენ ვალში, სწრაფად და უშეცდომოდ ფურჩვნიდნენ — ზედმეტ ფოთლებს აცლიდნენ ვაზს, რადგან იცოდნენ, მოლონიერებული ძირი უფრო მეტ საკვებს მიაწვდიდა მტევანს.

დები ნათელა და ნუნუ ზავრაშვილები გამოცდილი მევენახეებივით ფუსფუსებდნენ ზვარში, იქით ნანა ბეჟაშვილი და ანა დოიაშვილი საქმიანობდნენ.

— გოგონებო, ფურჩვა შედარებით იოლი საქმეა, — თქვა თამი-



— „ცის გახსნა! — რა ზუსტადაა სახელი შერჩეული, — ამოგან გოგონები.

ლა მატიაშვილმა და თავის თანატოლებს, მეექვსეკლასელებს გახედა. — მოდით, ფურჩვა მთლიანად ჩვენ ვითავოთ და ჭარხლის გათოხნა ბიჭებს მივანდოთ.

ეს წინადადება ყველას მოეწონა — მართლაც, რა ბიჭების საქმეა ფოთლების გაცლაო, და უფრო მეტი მონდომებით შეუდგნენ ფურჩვას. აქეთ თამილა მატიაშვილი და ნანა ბეჟაშვილი ჩაუდგნენ მწკრივებს, იქით — ანა დოიაშვილი და მარინა ტურიაშვილი, ცოტა ჰქვემოთ კი ლელა ბერძენიშვილი, ხათუნა ჯამასპიშვილი და სხვები შრომობდნენ.

ფურჩვნიდან განთავისუფლებულმა ბიჭებმა ვენახის გათოხნა და სარეველებისაგან გაწმენდა რომ დაამთავრეს, ახლა თავიანთი თოხებით ჭარხლის ნათესებში გადაინაცვლეს. გახურდა მუშაობა. ჭარხლის ხუთი ჰექტარის გათოხნა და გამოთხელება შრომისმოყვარე ბიჭებმა მალე დაამთავრეს და გეგმა-ვალდებულება პირნათლად გააწმენდეს.

— მუშაობაში დრო ისე გარბის, ვერც კი შეამჩნევ, — თქვა დავით გოდერძიშვილმა. — ვენახში ქირქის გამორიდების დროც დამდგარა. ხვალ დილიდანვე „მწვანე ოპერაციების“ ეს საქმეც დაიწყეთ.

— ჰო, კარგად რომ დამწიფდეს ეს დალოცვილი, ჩვენც მივხმაროთ ვაზს, დროზე გამოვარიდოთ ქირქი, — თქვა გოჩა ბეჟაშვილმა.



მე რომ უზარს ტარზე დადგაოდა, გოგო-ბიჭები ცოტა ხნით შეისვენებდნენ ხოლმე და საინტერესო საუბარს გააპაოდანენ.





გაგამ დაიხედა ტანზე, მერე ჩაიყო ჯიბეში ხელი და ამოიღო თითბრის ბრკყვილა ღილი.

— არ მინდა, არა!

— აპა! — შესძახა გულისმოსვლით და გადმოუგდო ფეხებთან.

— არ მინდა-მეთქი, ბიჭო, გესმის? თამაშმა უნდა გაგვართოს, კი არ გაგვაფხუქიანოს!

— აიღე! ამ ცდაზე მოვიგებ ორივეს!

— მესამეზე იქნებ კიდევ დაამატო რამე?

— არა! აღარ გვინდა სროლა! ახლა ცხენები შევაჯიბროთ და, თუ ვაჯობე, მომეცი ორივე!

— კარგი და პატიოსანი, მაგრამ არ გვინდა შეჯიბრი! აპა, ისევ დაიბრუნე შენები!

— არა! უნდა ვაჯობო და ისე!.. თუ არა და არ მინდა არაფერი! — გაბრაზებით ჩაილაპარაკა გაგამ.

„რალა ძალას ვატან მეც? ისედაც ხომ მაჯობებს და, დაე მაშინ დაიბრუნოს თავისები“, — გაიფიქრა ნუგზარმა და გახედა წაბლას.

როგორ არ უნდოდა ახლა ჭენება!

აკეცა ათრეული ჯაჭვი და მიმოიხედა აქეთ-იქით. არაფერი არ იყო ისეთი, რომ შემდგარიყო ზედ და გადამჯდარიყო ცხენზე. გაჩერდა უსასოოდ.

გაგა კი ძლივს უჭერდა თავს აღერებულ აჯილღას.

— რალას უყურებ?

ნუგზარმა ითაკილა მიზეზის გამხელა.

გაგა მიუხედა, ჩამოხტა, აუწია ფეხი და მიეხმარა შეჭდომაში. მერე ამხედრდა თავადაც და გვერდზე ამოუყენა წაბლას თავისი საფერხე.

— სამს დავითვლი და მაშინვე ამოჰყარი ქუსლი!

თითქოს რალაც ღიდი საშიშროების წინაშე მდგარიყოს, ისე გამალებით უცემდა გული ნუგზარს, ალბათ ფერიც აღარ ედო ჩვეულებრივი.

გაგა კი განგებ აგვიანებდა თვლას.

— ერთი!.. — როგორც იყო, გაიმეტა წყალობა.

უფრო გაუძლიერდა გულის ცემა ნუგზარს.

— ორი! — დაიძახა გაგამ, ნუგზარს მიხედა და შეამჩნია, როგორ ემზადებოდა იგი.

— სამი — წამოიძახა უცბად და ადგილიდან ისარივით მოსწყვიტა ცხენი.

როგორღაც უნებურად ჰკრა ქუსლი ცხენს ნუგზარმაც.

მიაქროლებდა გაგა...

მისდევდა ნუგზარი და ცხენს ტანზე მთელის ძალით უჭერდა ლაჭებს. ორივე ხელით ჩაფრენოდა ფაფარში და დუმდა შიშისაგან კრიჭაშეკრული. მერე და მერე იგრძნო, რომ სულ უფრო უმატებდა რბოლას წაბლა...

თანდათან გაუარა შიშმა, მოეცა გული და გახედა გაგას. იგი, წელში წაკუხული, წამდაუწუმ ურტყამდა ცხენს ქუსლებს ფერდებში. ალბათ გრძნობდა, როგორ უახლოვდებოდა მეტოქე. კიდევ რამდენიმე წამიც და... უკვე გვერდით ამოუდგა ქურანას წაბლა.

რალაცნაირი სიამაყე იგრძნო ნუგზარმა. კინალამ დასკვივლა გაგას. მერე გაასწრო კიდევ... უკვე მიღწეული იყო მიზანი: აჯობა!..

მოზიდა ავშარას, თანდათან უკლო ნაბიჯს რბოლის ენით აღტყინებულმა წაბლამ, მერე მოჰყვა ჩაქჩაქს, ბოლოს გაჩერდა და დაეწაა ბალახს.

ჩამოხტა უმაღვე ნუგზარი და მიხედა ახლახან მოვარდნილ გაგას.

— ჯერ ცხენზე ჯდომაც არ იცი და მაჯობე, აბა რალა ვქნა! — წამოიძახა მან და თავქვე დააბრუნა საფერხე.

გაბრძელება შემდეგ ნომერში

— ვისაც ვენახში არ უმუშავნია, იმან ალბათ არც „ქირქი“ იცის და არც ის, თუ რატომ უნდა მოცილდეს ის ვაზს, — თქვა დავით გოდერძიშვილმა და თვითონვე განმარტა: — მტევნის ყუნწზე ხშირად მე-

ორე, პატარა, შვიდ-რვაგამარცვლიანი მტევანი წამოიზრდება ხოლმე. ეს წამონაზარდი ძირითად მტევანს ხელს უშლის კარგად დამწიფებაში და ამიტომაც საჭირო მისი მოცილება, რათა ვაზის წვენი ძირითად

მტევანს მოხმარდეს. — მართალია, მართალი, — დაემოწმნენ აქეთ-იქიდან დავითს და თან მუშაობა განაგრძეს. იმ დღეს ბევრი იშრომეს, სათუთად აცლიდნენ მტევნებს ქირქს და თან ერთმანეთს უთვალთვალდებდნენ — ემანდ, ვინმეს რამე არ გამოორჩესო.

გულმოდგინე შრომას ყოველთვის კარგი ნაყოფი მოაქვს — ეს უბრალო ჭეშმარიტება კარგად იციან ბაკურციხელმა პიონერებმა და ამიტომ მთელი ზაფხულის მანძილზე თავდადებულად მუშაობდნენ მეურნეობის ვენახებსა და ბალ-ბოსტნებში.

— ხილი მოკრეფილი და ჩაბარებულია, საკვები თივა დამზადებულია, სათოხარი გათოხნილია, „მწვანე ოპერაციები“ დროულად და ხარისხიანადაა ჩატარებული, — უხაროდათ პიონერ-მოსწავლეებს. — მოსავალსაც არ უჩანს ცუდი პირი. ვნახოთ. როგორც ამბობენ, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან...



პიონერებმა თონახს პირები გაუღეს და გახურდა თონახი.

თემურ ცაგარელი ფოტო ავტორია



# ფიქროსკანი

მამუკა ჩხიკიძე

მხატვარი დ. ზარაფიშვილი

მ ო თ ხ რ მ ბ ა

— აჰა, ესეც სამი მანეთი.  
 — მადლობა, ვანო, სულზე მომისწრო შენმა სამმა მანეთმა — ფული აღარა მქონდა.  
 — რას ამბობ, კაცო, მადლობელი იქითა ვარ, თამარ მეფის დარბაზს არ დაამგავსე ჩემი დუქანი! — უთხრა მელუქნემ მის წინ მდგარ კაცს და გაუღიმა, თან გიქაში არაყი ჩაუსხა.  
 კაცმა დიდხანს უყურა გიქას, მერე სულმოუთქმელად გადაჰკრა, ნახვამდისო, — დაუბარა მელუქნეს და დუქნიდან გამოვიდა... გარეთ მზე კაშკაშებდა. დუქნის სიბნელიდან

უცებ მზეზე რომ მოხვდა, თვალები აეწვა, ვერაფერი დაინახა, მერე შეეჩვია და ჩაიღიმა. მზეს გაუღიმა.  
 მალალი კაცი იყო, გამხდარი. მოგრძო, თხელი სახე ჰქონდა, დიდი და დაკოურილი ხელები. ქუსლმონგრეული ჩექმები, ძველი შარვალი და პიჯაკი ეცვა. ფარფლებდაკმუჭნილი დიდი ქუდი ეხურა. რაღაც ძველის და მოუხეშავის შთაბეჭდილებას ტოვებდა, სანამ თვალეში არ ჩახედავდი... დიდი თაფლისფერი და სევდიანი თვალები, ბავშვური, მიაშტინი, ძალზე კეთილი და თბილი გამოხედვა ჰქონდა... აშუქებდა.

საბოლოოდ შეეჩვია მზეს, დაბნელებული დაიხედა და გრძელი ნახევორითა დაღმართს დაუყვა.  
 თეთრად შეღებილ ქვის ღობეს რომ მიუახლოვდა, უცებ შედგა. ღობესთან პატარა ბიჭი იდგა, თავზე თუშური ქუდი მოეგდო, წითელი პერანგი ეცვა. კედელზე ნახშირით რაღაცას ხატავდა. მთლიანად მუშაობაში ჩაფლულიყო, გარშემო არავის ამჩნევდა, ხმამაღლა ღიღინებდა. იმდენად კარგი და ლამაზი იყო ეს სურათი, რომ კაცმა ფეხი ვეღარ გადადგა. გულში უზარმაზარი სითბო ჩაედგარა, თვალეში გაუბრწყინდა.  
 — აა, დაგიბირე, так, это ты вчера стену испортил! — უცებ საიდანღაც მეეზოვე გაჩნდა, ბავშვს უურზე ხელი წაავლო და მალლა აქაჩა. ბიჭი შეშინდა, თვალეში დააცვცა.  
 მალალი კაცი უცებ გამოერკვა, სახეზე უკმაყოფილება დაეტყო, თითქოს ლამაზ სიზმარს ხედავდა და გამოაფხიზლესო. მეეზოვესაკენ წავიდა.  
 ბავშვი ტირიდა.  
 — Смотри, заплакал! — გაუვირდა მეეზოვეს და კაცს შეხედა.  
 — Отпусти! — სთხოვა მან მეეზოვეს.  
 — А тебе какое дело? — შეუბღვირა მეეზოვემ.  
 — ვა, ჩემი შვილია, რაღა! — იცრუა მალალმა.  
 — Да? Ну тогда плати штраф! — ახლავე, ახლავე! — გამხდარმა კაცმა ჯიბეში ჩაიყო ხელი, იქიდან დაკმუჭნილი სამმანეთიანი ამოიღო. არც დაფიქრებულა, ისე გაუწოდა. მეეზოვემ ბავშვს ხელი გაუშვა, მანაც უცებ მოკურცხლა. ჯიბეში ფულს რომ იდებდა, მეეზოვეს ჩაეცინა:  
 — Значит, твой ребенок? — და ეშმაკურად შეხედა, აქაოდა, ტუთილს მიგიხვდიო.  
 მალალმა მხრები აიჩეჩა, დამნაშავესავით გაიღიმა.  
 — У тебя, что, денег много? — ჰკითხა მკაცრად მეეზოვემ, მაგრამ ფული მაინც არ დაუბრუნა.  
 კაცმა ისევ გაიღიმა და მხრები აიჩეჩა, მიტრიალდა და გზა განაგრძო. მერე შეჩერდა, პაპიროსს მოუკიდა და ისევ წავიდა...  
 მიდიოდა გრძელი ნაბიჯებით, წელში მოხრილი. დაბრეცილ ჩექმებს მაგრად ურტყამდა ქვაფენილს, მიწას ჩასცქეროდა და ისე მიდიოდა...  
 — Чудак! — ჩაილაპარაკა მეეზოვემ და თვალი გააყოლა. ფიროსმანი იყო...

დ. ზარაფის სხ. სპ. სს. სახელმწიფო რ. სს. საბჭოთა ბიბლიოთეკა

# სპანური ღლიერი

იმ მშვენიერების სიტყვებით გადმოცემა, რაც ჩვენ — პიონერთა სასახლის სახვითი ხელოვნების სექტორის აქტივის წევრებმა — სვანეთში ვნახეთ, შეუძლებელია. წიგნებით, ფილმებით, ნახატებით კი ვიცნობდით დაახლოებით, მაგრამ განა შესაძლებელია ამ მალალი ცის, თოვლიანი მწვერვალების ენით აუწერელი სიკაშკაშის, აქაური მოლის ნორჩი და ხასხასა სიმწვანის, სვანური კომკების სიღარბისლისა და სიმკვდარის, ჰაერის საოცარი გამჭვირვალობის შორიდან წარმოდგენა?

ის კი არა, ახლაც, როცა ყოველივე ჩემი თვალით ვიხილე, ზოგჯერ ეჭვი მეპარება: მართლა ვნახე თუ მესიზმრა-მეთქი. ხანდახან ყველაფერი სიზმრისა მგონია. ამიტომ იქაურ დღიურს გადავშლი ჩოლმე ხშირ-ხშირად.

ამ დღიურს სიჩქარესა და ფაციფუცში ვწერდი, რადგან სულ სადღაც მივდიოდით, რაღაც უნდა გვენახა, იქაური ბავშვებისათვის ჩვენი ნამუშევრები (ნახატები, კინოფილმები, ფოტოები) უნდა გვეჩვენებინა და, რაც მთავარია, გვემუშავა: ფილმი გადავვლო, ჩანახატები გავვეკითხებინა.

ამ ნამუშევართა ნაწილს წინამდებარე ნომერში ნახავენ „პიონერის“ მკითხველები, უფრო სრულად კი — სექტემბერში პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში მოწყობილ გამოფენაზე.

ახლა კი ვუბრუნდები ჩემს დღიურს.

## 16 ივნისი

მესტიაში გუშინ ჩამოვედით. ზუგდიდამდე მატარებლით ვიმგზავრეთ, შემდეგ — ავტობუსით. მატარებელში არავის არ გვიძინია, ამიტომ ავტობუსში თავის კანტურს მოვყავით, მაგრამ სულ მალე ისეთ ჯადოსნურ ბუნებაში გავედით, რომ ძილი კარგა ხნით გაგვიფრთხა. ცხვირები ფანჯრებს მივაჭყლიტეთ და თვალეზადქცეულნი მივჩერებოვართ არემარეს.

წარმოდგინეთ, თქვენს ქვემოთ მიღწეულს ენგური. ნაპირებს ეხეთქება. ქვეშ თავს ევლება, ქაფდება, კალაპოტიდან ამოვარდნას ლამობს.

ზევით კი ოლიმპიური სიმშვიდით გარინდულან გოლიათი მთები. ციკაბო კალთებზე ერთმანეთს გადაჭიდობიან ბებერი ხეები, მთას თავზე ახურავს ცისფერი გამჭვირვალე ცა, მწვერვალი ცაში იკარგება. გეგონება, ცა ცისფერი აბრეშუმისაგანაა შეკერილი და მწვერვალს ეს ნაჭერი გაურღვევიაო.

ან კიდევ ასეთი სურათია: მოსახვევის წინ მოჩანს კლდე, რომელიც გზას კეტავს. მძლოლი მთელი სისწრაფით მიაქროლებს მანქანას. გგონია, უკვე ველარაფერი გადავარჩენს და ბოლო წამს, როცა მრუხვევთ, შეამჩნევთ, რომ თურმე კლდეში გვირაბი ყოფილა გაყვანილი.

დღეს დავათვალიერეთ მუზეუმი. ძალიან საინტერესო იყო. პირველ სართულზე ვნახეთ უძველესი იარაღები. სამკაულები, თოვლში სასიარულო ქალამნები, მარხილი, საქსოვი მოწყობილობა, ძველი მონეტები, დავით აღმაშენებლის დროითი დაწყებული და ერეკლეს დროითი დამთავრებული. მეორე სართული უფრო საინტერესო იყო, იქ სვანური ფარები, ხანჯლებია გამოფენილი. ვნახეთ ვერცხლის ქამრები, სვანური ჩოხა, სვანური კომკისა და მთავარი ოთახის მაცეტი, სკამი, რომელზეც ოჯახის უფროსი ჯდებოდა და დიდი სავარძელი, რომელზე დაჯდომის უფლებაც მხოლოდ მამაკაცებს ჰქონდათ. ვნახეთ მიხეილ ხერგიანის საფლავიც; ის თურმე თავის დაბადების დღეს დაღუპულა იტალიაში (1969 წ.). მერე თვით „კლდის ვეფხვის“ სახლ-მუზეუმიც გვანახეს. აქ დაცულია მისი მედლები, დიპლომები, ფოტოსურათები, მასზე დაწერილი წიგნები, თოკი, რომელიც გაუწყვეტია კლდიდან მოწყვეტილ ქვას, ხერგიანი ხევში რომ გადაუგდია; იმ კლდის ფოტოც ვნახეთ.

დღეს უნდა წავსულიყავით უმგულში, მაგრამ ძალიან დავიღალეთ. შორია და თანაც ცუდი გზა ყოფილა. არა უშავს, ხვალ წავალთ.

## 19 ივნისი

ვიყავით სოფელ ლენჯერში, სადაც ვნახეთ ღვთისმშობლისა და მთავარანგელოზის ეკლესია. ძალიან ლამაზი, მაგრამ მოუფლელი: ეზო ჭინჭარს დაუფარავს, საფლავები — ეკლიან ბუჩქებს. თვით ეკლესიაში წყალი ჩამოდისო, — შემოგვჩვივს სვანებმა. არადა, ისეა მოხატული ის ერთი ციდა ეკლესია, რომ გამოსვლა აღარ გვინდოდა. იმ დროს, როცა ეს ეკლესია შენდებოდა (XII საუკუ-

ნისა), თამარ მეფეს ერთ-ერთ გომოლაში გაუმარჯვია და უბრძანებია, ეკლესია, რომელიც ახლა შენდება, საბრძოლო სურათებით შეამკეთო. მართლაც, ძალიან ლამაზად არის გარედან მოხატული. სასწაულია; ფერები ისე მკვეთრად შემონახულა, ღვთისმშობლის ეკლესიასთან ვესაუბრეთ მოხუც სვან ქალებს.

სალამოს წავედით მარგიანების კომკში. დიდებულ კომკია: სასურავამდე ავედით, თუმცა ენთუზიაზმი ყველას ბოლომდე არ მიჰყვა და ზოგი ქვემოთ დარჩა. ვფიქრობ, წააგეს, რადგან ზემოდან წარმოუდგენლად ლამაზი გადმოსახელი იყო.

## 20 ივნისი

ვიყავით ტურბაზაში, რომელსაც თურმე უკვე ოცდაორი წელია აშენებენ. მთელი გზა ფეხით გავიარეთ. საშინლად ცხელია. იქიდან მთელი თავისი მრისხანე სიდიდით მოჩანდა უშმა, სწორედ ისე, როგორც ყაზბეგის ტურბაზიდან მოჩანს მყინვარწვერი. მყინვარწვერს რომ ვუცქერდი ყაზბეგში, არ მეგონა, თუ მეორე ასეთი სილამაზე კიდევ სადმე იქნებოდა.

სვანურში სალანძღავი სიტყვები თითზე ჩამოსათვლელია. ყველაზე სალანძღავი სიტყვა „იუდაა“. მეორე ადგილზეა „უშმა“, რომელიც მიუჩარებელს ნიშნავს. ამიტომ ჰქვია მწვერვალს უშმა.

კარგი ლანძღვა კია: ასეთი ლამაზი და მიუჩარებელი იყო!

თავისი მიუდგომლობის მიუხედავად, სვანეთი ბევრ სიმდიდრეს უზიარებს სხვა კუთხეებს. ხე-ტყე ქალღმერთის კომბინატში მიდის, მარმარილოთი მეტროპოლიტენის სადგურებს აპირკეთებენ; მრავალგვარი წიაღისეულიც ამოაქვთ მისი გულიდან.

რამდენიმე წლის წინ ვერტმფრენისა და პატარა თვითმფრინავების იმედად იყვნენ აქაურები. დღეს კი ახალ გზას ავტობუსით აჰყავს მესტიაში სვანები და მათი სტუმრები.

## 21 ივნისი

ჩამოვედით ზუგდიდში, ხვალ ენგურპისსაც ვნახავთ.

ბუნების საოცრებიდან — ადამიანის ხელით შექმნილ საოცრებამდე. ასეთი გახლდათ ჩვენი მშვენიერი და უაღრესად საინტერესო მოგზაურობის ფარგლები.

თბა გვასალია,

თბილისის 184-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე, პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის კინოწრის წევრი.

# უთაოლ ლაპუნსაქაქა

როცა მეკითხებიან, შენი საყვარელი ჟურნალი რომელიაო, უყუყუმანოდ ვპასუხობ, „პიონერი“-მეთქი! ოთხი წელია, ჟურნალ „პიონერის“ მეკითხველი ვარ. თუმცა უკვე კომკავშირელი გავხდი, მაინც ინტერესით ვეცნობი ჟურნალის ყოველ ახალ ნომერს. ძალიან მომწონს აქ დაბეჭდილი მოთხრობები თუნარკვევები. განსაკუთრებით კი ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი „აისი“ მიყვარს. ყურადღებით ვადევნებ თვალს ჩემს თანატოლთა წერილებს, მათ მსჯელობას რაზმისა და რაზმეულის მუშაობის, ქცევის ნორმებისა და სხვა საკითხების შესახებ. განსაკუთრებით დამაინტერესა წლე-

ვანდელი წლის ნორმებზე გამართულმა დისკუსიამ, რომელიც ქუთაისელი ლალი დ.-ის წერილმა გამოიწვია.

მიმდინარე წელს „აისი“ დაბეჭდილი მასალებიდან განსაკუთრებით მომეწონა ზუგდიდელი დათო ჩიქავას, ცხაკაიელი რონა ბუბუტეიშვილის, მარტყოფელი მარგარიტა ჩიტრეკაშვილის ლექსები და თბილისელი ნინო ჩხიკვიშვილის ჩანახატი „გუგუნება ლილეო“. ყოველივე ეს იმიტომ გავიხსენე, რომ ესეც „აისის“ ბიოგრაფიის ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია.

ჩემი რაიონის პიონერ-მოსწავლეთა სახელით ვუსურვებ „აისს“, კვლავაც უკეთ გავგაცნოს საქართველოს სხვადასხვა კუთხის პიონერთა საინტერესო ცხოვრება, კვლავაც ბევრჯერ მოგვეცეს მომავალ პროფესიაზე, ხელოვნების სიყვარულსა და



სორს კორესპონდენტთა ჟურნალი № 9

ქცევის ნორმებზე მსჯელობისა და კამათის საშუალება. ესეც და ჟურნალში დაბეჭდილი სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა საუბრებიც უთუოდ დაგვეხმარება მომავალი პროფესიის არჩევასა და ცხოვრებისეული მიზნების მიღწევაში.

ლია ჭიბოშვილი,  
გურჯაანი, კარდანახის საშუალო სკოლა, VII კლასი.



სმდნის  
წყარო

ხან გაცინებს, ხან გატირებს,  
ხან გარიგებს ბრძენი,  
ამბები აქვს კილობანში  
ახალი თუ ძველი.

ნიგნი ჰქვია მას სახელად,  
ნიგნი — ცოდნის წყარო.  
მისი მაღლი და სიკეთე  
თვალთ, ვერ დათვალთ!

თაფრიკო ბერაძე,  
ცხაკაიის I-ლი საშუალო სკოლა, VII კლასი.

## მე უანქან მთხვევარები

ჰა, სექტემბერიც მოვიდა,  
გაილო გულის კარები,  
უზომოდ გახარებულნი  
სკოლისკენ მივეჩქარებით.  
წინ გვეგებება ნიავი,  
ქორხორს ალერსით გვინუნავს,  
ყველას მზე მოჰკიდებია, —  
გოგონებსაც და ბიჭებსაც.

საზა  
აღვგომელაშვილი,  
7 წლის.

მთა წამომდგარა, ხელს გვიქნევს,  
მზეც გვესალმება ცხრათვალა,  
ყოფილი პირველკლასელი  
ხედავ, რამხელა გამხდარა?  
გზას გვილოცავენ ვერხვებიც,  
ღიაა გულის კარები,  
სალამი, სკოლის შენობაც,  
მე შენკენ მოვეჩქარები!

ზენია შაკიაშვილი,  
გურჯაანი, კარდანახის საშუალო სკოლა, VIII კლასი.


## სამშობლო

მიყვარს სამშობლოს მზე,  
მისი კაშკაშა მთვარე,

ხალხი ამაყი, მხნე,  
ჩემი სამშობლო მხარე.

## თითრალ დაითრალა თითრალ...

თეთრად დაითოვლა მთები,  
ზამთარს, რა ხანია, ველით.  
თოვლის ფანტელებს რომ ვხედავ,  
გული სიხარულით მღერის.  
— ციგას მოსდებია უხანგი! —  
ჩივის პანანინა გიგა...  
ოღონდ თოვლი დადოს კარგად,  
სულაც მე დავუთმობ ციგას!  
თაგუნა ზაგუნაშვილი,  
თბილისის I-ლი საშუალო სკოლა, III კლასი.





ს. ბარულინი

# იქნ იოლკა ჰქვია!

მხატვარი  
ი. სანთონაძე

მ ო თ ხ რ ბ ა

— მე ვიცი, რომ სწორედ შენა ხარ ალექსანდრა ფეოდოროვნას შვილიშვილი.

— საიდან იცი?

— ჰგავხარ, რომ იცოდე, როგორა ჰგავხარ! მართლა გეუბნები! რატომ აქამდე არ ჩამოდიოდი სოფელში? ლიონკა ყველაფერს მოელოდა, ამას კი არა. ხშირად უთქვამთ, მამას ჰგავხარო. კაცმა რომ თქვაა, ეს მართალიცაა. ან თუნდაც დედას. შესაძლებელია. ნაწილობრივ. მაგრამ ბიჭი რომ ბებიას ჰგავდეს, ეს წარმოუდგენელია. ლიონკა გაწითლდა კიდევ სირცხვილისაგან.

— რატომ უწინ არ ჩამოდიოდი-მეთქი, გვეითხები, — არ ცხრებოდა გოგო.

— რატომ არ ჩამოდიოდა? რა უთხრას?... ალბათ მარდ-

ლაც უნდა ეგლო ბებიასთან. მაგრამ ჩინოვნიკმა ყველაფერი კარგად იყო აწყობილი და ისიც არ ჩამოდიოდა. პიონერულ ბანაკში დადიოდა. ერთ ნაკადში, ხან ორში, შარშან კი სამ ნაკადში იყო...

— ბებია ყოველ წელიწადს თვითონ ჩამოდიოდა ხოლმე ჩვენთან სტუმრად. ამიტომ... — წაბუტრდუნა ლიონკამ, გულში კი გაიფიქრა, რა მაკვარანცხი გოგოაო. ეს მოხდა ომის წინ, ოცდაცხრამეტში, როცა ლიონკა პირველად ჩამოვიდა სოფელში. ისინი სოფლის მღალაში შეხვდნენ ერთმანეთს, ლიონკა აქ მარილის საყიდლად იყო შემოსული.

იმ გოგოს იოლკა ერქვა. ხანდახან ალერსიანად იოლოჩკას ეძახდნენ, ლიონკა კი ვერ უბედავდა. მოსკოვში ბიჭებს ტოლს არ უდებდა, აქ კი ამ გოგოს წინაშე ფარ-ხმალი დაყარა. ორი წლის წინ, როცა ნიძლავზე სამსართულიანი სახლის სახურავიდან გადმოხტა, არ შეშინებია; ფეხი მოიტეხა — ტერფის ძვალი, მაგრამ ითმენდა. ერთხელ სკოლაში (მგონი მაშინ მეორე კლასში იყო) კიბის მოაჯირზე ჩამოსრიალდა, კიბეებს შუა ჩავარდა და კბილები სულ ერთიანად ჩაიღეწა; ხმაც არ ამოუღია, ერთიც არ დაუწუწუნია. კიდევ უფრო აღრე, ჯერ კიდევ სკოლამდე, ეკლიან მავთულში შეძვრა. მამამისმა სულ მაკრატლით დაჭრა მავთული, რომ ლიონკა გამოეყვანა. თვითონ კი თვალიც არ დაუხამხამებია. კბილი კბილს დააჭირა და მერე ტრაბახობდა კიდევაც. მასწავლებლებს ან უფროსკლასელებსაც სკოლაში ლიონკას არასოდეს არ ეშინოდა... ახლა კი...

იოლკა, იოლოჩკა... სასაცილოა? ალბათ...  
— რატომ ჰქვია ეგეთი სახელი? — ჰკითხა ერთხელ. კაცმა რომ თქვას, უცნაური სახელები იმ დროს ბევრს ერქვა, მაგალითად, ინდუსტრია, ელექტრიფიკაცია, კოლექტივიზაცია... ლიონიას კლასში ერთი პროლიაც კი იყო — ანუ პროლეტარული რევოლუცია.

იოლკა კი არასოდეს გაუგონია...  
— სერიოჟიკი განა ასეთივე სასაცილო არ არის? — ცხარედ შეეკამათა გოგო. — რატომ ჰქვია ჩვენს სოფელს სერიოჟიკი? არ იცი, ხომ? ეგეც შენ!  
ლიონკა შეცბა: აბა, საიდან უნდა სცოდნოდა? ეს სიტყვა საერთოდ პირველად ესმოდა. იცოდა, რომ ბებიას სადღაც სოფელში ცხოვრობდა და რომ იმ სოფელს ჩაუდიოდა მდინარე ნარა. სერიოჟიკი კი...

— იქნებ გგონია არყის ხის საყურეების\*, გამო ჰქვია? — არ ცხრებოდა იოლკა. — სულაც არა, თუმცა ჩვენს ირგვლივ უამრავი არყის ხეა. თურმე რევოლუციამდე ერთი მემამულე ცხოვრობდა აქ, ჩვენი სკოლის შენობაში. ამბობენ, ცოტა შერეკილი იყო... თავის ექვსივე შვილს სერიოჟა დაარქვა. სულ ვაჟები ჰყავდა, ერთმანეთზე მიყოლებული. ჰოდა, ასე დაერქვა აქაურობას სერიოჟიკი!.. მამამ ასე ამიხსნა. დედამ კი...

— საინტერესოა! — გააწყვეტინა ამ მოულოდნელი აღმოჩენით მართლაც გაოგნებულმა ლიონკამ. თუმცა მაინც ვერ გაეგო, რატომ ერქვა ამ გოგოს იოლკა, არაფრით რომ არა ჰგავდა ნაძვის ხეს.

ლიონკა მთელი თავით მალაღი იყო იოლკაზე. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს არაფერს ნიშნავდა. ვაჟი კრთებოდა მასთან ყოფნისას, წითლდებოდა, როგორც უფროსის წინაშე. რად გაქრა მოსკოვერი თავდაჯერებულობა? იქნებ იმიტომ, რომ ეს გოგო გაუჩერებლად ტიტინებდა? თანაც კითხვებს კითხვებზე აყრიდა? ვითომ მასზე მეტი იცოდა? არადა, მისი თანაკლასელი იყო და, თუ წლოვანებაზე წავა საქმე, სულ რაღაც ორი თვით იყო ლიონკაზე უმცროსი.

1. იხევედბა მცირე შემოკლებით.

\* სერიოჟიკი — (რუს.) საყურეები.

— რატომ მკვია იოლკა? — გოგომ გაიცინა. — დედამ დამარქვა, დედა რუსი მყავს... ჰოდა, ასევე შემრჩა. ყველა შეეჩვია...

— როგორ რუსი გყავს? აბა სხვა ვინ უნდა იყოს? — მამა მყავს ესტონელი, ოღონდ გარუსებულთ, — აუხსნა იოლკამ. — თუ გინდა, ახკა დამიძახე ან ანია. ასეც შეიძლება. ოღონდ ჩემი ნამდვილი სახელი ენდაა, რუსულად „ჩემას“ ნიშნავს... აი, ასეა საქმე!

ლიონკას ერგებოდა, რომ ის ჩვეულებრივი სოფელი-ლი გოგონა იყო. ფეხშიშველა დადიოდა. სახეზე ჭორჭორი ეყარა. გამოხუნებული თმა და კულა ნაწნავები ჰქონდა. ასეთივე გამოხუნებული ჩითის კაბა ეცვა, სულ სხვანაირი. ვიდრე ქალაქელ გოგონებს აცვიათ. და უცებ... მამა — ესტონელი, უნდა — „ჩემია“...

— გამოდის, რომ უცხოელი ხარ? — ლიონკა ძალიან გაცოცხლებული იყო. ცოცხალი უცხოელი ჯერ თვალთ არ ენახა.

— როგორი უცხოელი ვარ, თუკი ესტონური ენა არ ვიცი და ესტონეთში არც ვყოფილვარ! — თქვა იოლკამ. — ვიცი „ტერე“ და მეტი არაფერი — „გამარჯობა“, ესე იგი. აი, ასეა საქმე!

— მე შენ უბრალოდ იოლკას დაგიძახებ, ასე სჯობია. კარგი?

— მე რა მენაღვლება! — ხალისიანად უთხრა გოგომ. — როგორც გუხერხება, ისე დამიძახე. — და იქვე დაიძინა: — კინოში წამოხვალ ჩემთან ერთად? „შვიდი მამაცი“ გადის.

— რატომაც არ წამოვალ! — მამა, მე ბილეთებისთვის გავიქცევი! თორემ, სანამ ჩვენ აქ ვლაცობთ, ბილეთები გათავდება!

ლიონკა დედამ ჩამოიყვანა სოფელში. ბიჭი ჭოკივით იყო გაჩხინკული და ისეთი გადაფითრებული, როგორც მდინარე ნარას წყალი, სადაც პირველ ხანებში ბანობა ეკრძალებოდა.

მეექვსე კლასში ლიონკა უგამოცდოდ გადაიყვანეს ფილტვების ანთების წყალობით. მთელი თანაკლასელები შენატროდნენ. აბა რა! გამოცდაზე ბევრმა უარესი ნიშანი გაიკრა, ვიდრე მეოთხედებში ჰქონდა. ლიონკას კი სწორედ იმ მეოთხედების მიხედვით გამოუყვანეს წლიური ნიშნები. მორჩა და გათვდა! სამი „საშუალო“, დანარჩენი — „კარგები“ და „ფრიალები“. და თუმცა „ფრიალი“ შეფასება ლიონკას მხოლოდ ფიზკულტურასა და ყოფაქცევაში ჰქონდა. „ფრიალი“ მაინც „ფრიალია“ და ლიონკას ეს ახარებდა, ამიტომ იოლკასთან იმავე დღეს წაიტრახა, როცა მალაზიაში გაიცნო.

იოლკა მის წარმატებებს საკმაოდ მშვიდად შეხვდა.

— დიდი ამბავი! მკვებარა! — უთხრა მან. — მეც ორი „საშუალო“ მაქვს. ოღონდ მე არ მიავადმყოფია და ყველასთან ერთად ჩავაბარე გამოცდები...

ამ იოლკაა ბრალი იყო თუ კიდევ სხვა რაღაცისა, სოფელი ლიონკას სრულებით აღარ მოსწონდა. მოსკოვი კი სულ სხვა საქმეს! აი, თუნდაც კინო აიღეთ. სადაც გინდა, იქ წადი, რომელი სურათიც გინდა. აირჩიე! მოსკოვში ზომ ორმოცდაათამდე კინოთეატრია. ხოლო ეზოში... რამდენი ბავშვი იყრის თავს ყოველ ეზოში? გინდა ფეხბურთი ითამაშე, გინდა სხვენში. ან სახურავზე იჩხირკედელავე, მოგწყინდება და — წადი, ნაყინი იყიდე... ყველა ქუჩის კუთხეშია. ინებეთ!

ახლა რადიო? მოსკოვში ლიონკა ისე მიეჩვია რადიოს, აღარც უსმენდა ხოლმე. აქ კი, სოფელში, მაშინვე შეამჩნია, რომ რაღაც აკლდა. მიხვდა: რადიო არ იყო. და

კიდევ — გაზეთები. შინ მამას „პრავდაც“ ჰქონდა გამოწერილი, „ვეჩორაკ“. „ბიონერკა“ რომ აღარ ჩამოვარდნილიყო...

ბებიასათვის კი ფოსტალიონს ერთი პატარა გაზეთი მოაქვს. „მაიაკი“ ჰქვია. მაგრამ შიგ არაფერი წერია არც ფეხბურთზე, არც ომზე. არც არაფერზე. მხოლოდ იმას წერენ, ვინ რამდენი რა მოკრიფა, ვინ როგორ მოემზადა სენისთვის. თიბვისთვის და როგორ მიდის თოხნის საქმე. დღემდე ბიჭი მსოფლიო კატეგორიებით ცნობრობდა, ახლა კი — თოხნა როგორ მიდისო...

— რას იტყვი, მართლა კარგია ჩვენთან? — ჰკითხა მას იოლკამ.

— არა უშავს, ისე, რა... — გულგრილად უპასუხა.

— შენ იცი, რომ ჩვენი კოლმეურნეობა რაიონში მოწინავეა? არაფერიც არ იცი! — შესძახა იოლკამ. — საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე რომ წარადგინეს, იცი? ე-ე! აბა, საიდან უნდა იცოდეს! შენ ხომ მოსკოველი ხარ!

ისინი სამჯერ იყვნენ კინოში. ნახეს „შვიდი მამაცი“, „ტრაქტორისტები“ და მუხჯი ფილმი „წმინდა იორგენის დღესასწაული“.





თავდაპირველად ლიონკას ერიდებოდა ყველას დასა-  
ნახავად გოგოსთან ერთად სიარული. ერთხელ კიდევაც  
წამოსცდა:

— იქნებ ბიჭები წაგვეყვანა? უფრო მხიარულად ვიქ-  
ნებოდით!

მას უკვე ჰყავდა ძმაკაცები სოფელში.

— თუ უფრო მხიარულად ვიქნებით, წავიყვანოთ!  
თუ ჩემი გეშინია, უიშველად წავიყვანოთ! — მოუჭრა  
იოლკამ.

— არა, რატომ უნდა მეშინოდეს! ისე ვთქვი, — სცა-  
და თავის მართლება ლიონკამ.

ეტყობოდა, იოლკას მოსწონდა, რომ კლუბში ყველა  
მათ უყურებდა. ლიონკა თვალს ვერ უსწორებდა ვერავის,  
ადგილზე ვერ ისვენებდა და ერთი სული ჰქონდა, როდის  
ჩაქრებოდა სინათლე. ბოლოს იწყებოდა სენასი და  
ლიონკა სრუტუნის და ცხვირის ცემინება უტყდებოდა:  
თითქოს ჯიბრზე, სრულიად შეუფერებელ დროს გამო-  
უხტებოდა სურდოს შეტევა.

— იცოცხლე! — ჩურჩულებდა იოლკა და ყელსახვევს  
ისწორებდა.

კიდევ ერთხელ:

— იცოცხლე!

ისევ:

— რა მოგივიდა, გაცივდი? იცოცხლე!

— სხვათა შორის, როცა კინოში ვარ, ყოველთვის  
მაცემინებს. მოსკოვშიც ასე იყო. — რაც შეიძლება,  
დამაჯერებლად უთხრა ლიონკამ.

ლიონკამ ერთხელ ქობთან ზღარბი დაიჭირა. ის გულ-  
არხინად მიაბიჯებდა პარმალიან. ლიონკამ, რა თქმა უნ-  
და, არ დააყოვნა, ქუთრთუკი გაიხადა და გადააფარა.

ზღარბუნა გამგონე გამოდგა. ბუძვად არ მრგვალდებ-  
ოდა, არ იჩხვლიტებოდა, მხოლოდ დროდადრო ფრუ-  
ტუნებდა, თითქოს აკეძინებდნენ. ლიონკას ძალიან უნ-  
დოდა თავისი მონაპოვრით დატრახახება, მაგრამ ბებიის  
შინ არ იყო, არც ბიჭები ჩანდნენ... რა ექნა?

ზღარბი ხელში აიყვანა და ქუჩაში გამოვიდა. იოლკა,  
როგორც ყოველთვის, ახლაც იქ იდგა.

— აი, რა დავიჭირე! წარმოგიდგენია, პარმალიან  
მოვიდა, მე ეი...

— გაუშვი, ახლავე გაუშვი! — დაიყვირა იოლკამ. —  
რას აწვალე?

ლიონკა დაიბნა. უნებლიეთ დაიკუზა, ხელი გაუშვა  
ზღარბს, და ისიც ფრუტუნით შეიძალა ბაღში.

— იცი, ჩვენს სახლში ზღარბების მთელი ოჯახი  
ცხოვრობდა, — დაიწყო უცებ იოლკამ. — დედ-მამა თა-  
ვიანთი პატარებითურთ. მამა ყოველთვის აჭმევდა ხოლ-  
მე. აულ მთლად მოშინაურებულები იყვნენ. ერთხელ  
უფროს ზღარბს რახიც კი დაუსხა ლამბაქზე. ისიც მი-  
ადგა და დალია. უნდა გენახა ჩვენი სიცილი... რაც მამა  
აღარ არის, ზღარბებიც გადაიკარგნენ, არ ვიცი, სადმე  
წავიდნენ თუ...

ლიონკას უნდოდა ეკითხა, რატომ არ არისო მამა?  
სად წავიდაო? მაგრამ არ უკითხავს, გაჩუმება არჩია.

იოლკამაც სხვა რაღაცაზე გადაიტანა ლაპარაკი.

იმ დღეს ბიჭი კლუბში იოლკას გარეშე მივიდა. თვით-  
მოქმედების კონცერტი ტარდებოდა და გოგო აღრე  
გამოქცეულიყო.

იოლკა მეგარმონის თანხლებით მღეროდა. მღეროდა  
მოზრდილივით, სიმღერებიც სადილო იყო. მერე კოლმე-  
ურნეობის ორკესტრის თანხლებით იმღერა. ორკესტრ-  
ში ექვსი ბიჭი იყო. სამი ჩვეულებრივ თვითნაკეთ სალა-  
მურს არაკრავებდა, ერთი ხის კოვზებს არაკუნებდა.  
თითოც ბალალაიკასა და გარმონზე უკრავდა. ყველა მღე-

როდა, მაგრამ იოლკაზე გაცილებით უარესად იმღერებდა  
„ბარინია“ იცეკვა.

კონცერტის შემდეგ შინისაკენ ერთად წავიდნენ. უკვე  
ბნელოდა.

— შენ მართლა არ გეშინია, ჩემთან ერთად რომ და-  
დიხარ? — ჰკითხა უცებ იოლკამ.

— რატომ უნდა მეშინოდეს? — შეცბა ლიონკა.

— იმიტომ, რომ მამაჩემი ზის. და მე პიონერთა რი-  
გებიდან გამრიცხეს. აი, რატომ.

— როგორ თუ „ზის“?

— აი, ისე. ციხეში ზის.

— რისთვის?

— კარტოფილისთვის...

— როგორ „კარტოფილისთვის“?

— მე რა ვიცი! სასამართლოზე თქვეს, საზოგადოებ-  
რივი საკუთრების ხელყოფისთვისო. როგორი ხელყოფა  
გამოდის, როცა მან ის კარტოფილი ხალხს დაურია?  
ყინვამ დაჰკრა კარტოფილს. ისიც ადგა და დაურია.  
მამაჩემი ხომ კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო.  
ყველას უფროსად მიაჩნდა. ესეც შენი უფროსი! სისუ-  
ღელეა, ხომ მართალია?

— ალბათ, — დაეთანხმა ლიონკა.

გავიდა ერთი წუთიც და მას გაახსენდა:

— რატომ ამბობ, პიონერთა რიგებიდან გამრიცხე-  
სო? ყელსახვევი რომ გიკეთია?

იოლკა მართლაც ყოველთვის ყელსახვევით დადიოდა.  
ახლაც, ზაფხულში, როცა ყელსახვევი არავის ეკეთა.

— გამრიცხეს და იმიტომ! ყელსახვევიც კი ყველას  
თვალწინ მომხანეს შეკრებაზე, — გაბოროტებით თქვა  
იოლკამ. — მე კი, სულერთია, მაინც ვატარებ! ჩემი  
ხელით შევიკერე და მიკეთია! აბა, ერთი ვინმემ გაბე-  
დოს და მომხანას! კომკავშირშიც შევალ. შენ გგონია,  
არ მიმიღებენ? მიმიღებენ! თუ გინდა იცოდე, მე ყველა-  
ფერი სტალინს მივწერე. მამაზეც მივწერე. ის გაარკ-  
ვევს ყველაფერს, აი, ასეა საქმე!

ხანდახან ნახევარი დღე ისე გავიდოდა, ერთმანეთს  
ვერ ხვდებოდნენ. სხვა დროს თვითონ მოირბენდა  
ხოლმე დილაუთენია მათ ქობთან, ხან ქუჩაში ელოდებ-  
ოდა, ბაღისთან.

— წადი, მოძებნე! — უთხრა ერთ დილით ბებიამ.

— ვინა, ბებო? — ჰკითხა მოლუშულმა ლიონკამ და  
ისეთი სახე მიიღო, თითქოს ვერ გაეგო, რას ეუბნებოდ-  
ნენ.

— შენი მეგობარი იოლოჩკა, — აუხსნა ბებიამ. —  
ის ხომ ძალიან კარგი გოგოა. იმასთან მეგობრობა ცოდვა  
არ არის. ხანდახან ვიყურებთ ხოლმე და მიხარია.  
იოლოჩკა ისეთი გოგოა, ცუდს არაფერს გასწავლის...  
შრომაც უყვარს...

— მე სულაც არ მიფიქრია იმაზე, — წაიბურტყუნა  
ლიონკამ. — აქ ბიჭებს ველოდები...

— შენი საქმე შენ იცი, ლიონკა, — დათანხმდა ბე-  
ბია — შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ. მე ბრიგადაში გავიქ-  
ცივი...

ლიონკას ბებია, ალექსანდრა ფეოდოროვნა, კოლმე-  
ურნეობაში მუშაობდა. ამბობდნენ, ახალგაზრდებზე  
ნაკლებად არ მუშაობსო. შრომადღეების მიხედვით  
ბევრს სჯობნიდა.

ბებიას კარგი სახლი აქვს, სალვათი, სუფთა, ყავრით  
გადახურული. სოფლის განაპირას დგას, ნაძვნართან.  
ნაძვნარის იქით კი მდინარე ნარა ჩამოდის. ზედ ზილია  
გადებულნი, გინდა მარცხენა ნაპირიდან ჩაყვინთავ. გინ-  
და მარჯვენაიდან, თუმცა მარცხენა უკეთესია: უფრო  
ციცაბოა და მდინარეც უფრო ღრმაა იქ...

სეროუკა დიდი სოფელი არ არის, სულ ორმოცდაათოდ კომლია. ზოგი ქოხი ისლითაა გადახურული, ზოგი — ყავრით, როგორც ბებიასი, ზოგიც — თუნუქით. სკოლისა და კლუბის შენობა ქვით არის ნაშენი, სწორედ ესაა მემამულის ყოფილი კარ-მიდამო. ყოფილ ეკლესიაში ახლა მარცვლეულის საწყობია.

როცა იოლკას ვერ ხვდებოდა, ლიონკა ბიჭებთან ერთად დახეტიალობდა ტყე-ტყე, სადაც უამრავი მარწყვი მოდიოდა, მინდვრად, სადაც ბარდა იზრდებოდა. გემრიელია ქორფა ბარდა — ჭამით ვერ გაძლები! მუცლის ტკივილი რომ არ იცოდეს, იმას არაფერი ჯობს!.. ზოგჯერ ბაღებშიც დახეტიალობდა, თუმცა ბაღები არც ისე ბევრი იყო. ბიჭებთან ერთად ცხენებს არწყულებდა მდინარეზე, თივას ეზიდებოდა გომურში. მტრედის კვერცხებს აგროვებდნენ ეკლესიის სამრეკლოზე, თხუნელას დასატერ მახეებს აკეთებდნენ და ლამაზობით სასაფლაოზე დგამდნენ — აქ ხომ ყველაზე მეტი თხუნელა იცოდა. ლიონკას ბევრი ახალი მეგობარი ამით ფულს აკეთებდა რაიონულ დამზადების კანტორაში.

ერთხელ ლიონკამ ბიჭებთან ერთად ცხენები ამორგვა მდინარიდან. საჩინბოსთან შემთხვევით იოლკას გადააწყდა. თმაგარჩილი და სახეაღეწილი იოლკა ნაკელით სავსე ურიკას მიათრევდა.

— ოჰ, ეს შენა ხარ? — გოგონას თითქოს ძალზე გაუკვირდა და უარესად გაწითლდა. — მე კი, აი, იძულებული ვარ შრომადღეები გამოვიმუშაო... დედა...

ლიონკამ ურიკა გამოართვა.

— აბა, მომეცი! საით წავიღო?

გოგომ უჩვენა.

ლიონკამ ურიკა ადგილზე მიაგორა, გადააყირავა, დასცალა და ისევ საჩინბოსაკენ წამოვიდა.

იოლკა დატვირთვაში ეხმარებოდა. მერე უკან მიჰყვებოდა და გზად სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— გეყოფა! გეყოფა! მე თვითონაც შემძლია, მიჩვეული ვარ. — სინამდვილეში კი ძალზე კმაყოფილი იყო.

ზაფხულის მიწურულს სოფლელი ბიჭები წითელი





არმიის რიგებში გააცილეს. მთელი სოფელი რამდენიმე დღეს გადაბმულად ჭეიფობდა. კლუბში კონცერტი გამართეს. იოლკამ ისევ ბევრი იცეკვა და იმღერა.

ლიონკა შენატროდა ჯარში მიმავალ თავგადასარსულ ბიჭებს. თვითონ ჯერ რამდენი უნდა ელოდა ამ დღისათვის! ხუთ წელზე მეტი! ხუთი წელი კი თითქმის მარადისობა!

ახალწვეულთა გამგზავრების დღეს სოფელმა როგორღაც მოიწყინა. გარმონებიც უკრავდნენ, სიმღერებიც წკრიალებდა, იცინოდნენ კიდევაც შეჭიკჭიკებული ბიჭები. მაგრამ ეს აღარ ჰგავდა წინა დღეების ღიმილს. ცრემლებიც იყო. ბევრი ცრემლი, ლიონკასთვის სრულიად გაუგებარი.

ვილაცამ კიდევ, თითქოს ჯიბრზე, ხმა გაავრცელა. ომი დაიწყო: გერმანელები პოლონეთს შეესივნენო. ხოლო როცა შენს მეზობელს ომი მიადგება კარს, შენც ნუღარ ელი სიკეთეს.

წვევამდღელებით სავსე მანქანები უავე გუგუნებდნენ, როცა გამცილებელთა ჯგუფში იოლკა შემოიჭრა.

— ტყუილია! — იყვირა მან. — ომზე ნათქვამი ყველაფერი მონაჭორია! მე რაიკომში დავრეკე სამმართველოდან. არავითარი გერმანელები თავს არ დასხმიან. ყველაფერი სიცრუეა!

ხალხი ცოტა დამშვიდდა, გამხიარულდა.

მართლაც, ჯერ არ დაწყებულყო ომი. 1 სექტემბერს კი...

1 სექტემბერს, უკვე მოსკოვში, ლიონკამ სკოლაში გაიგო: გერმანია თავს დაესხა პოლონეთს...

ისინი მოსკოვის განაბირას ცხოვრობდნენ. მათი სახლის გვერდით რაღაც თხრილი იყო. სწორედ ამ თხრილის პირას იდგნენ ნაძვი და არყის ხე. ორთავენი ერთნაირად მალალები იყვნენ, მაგრამ შესახედავად სრულიად სხვადასხვანაირები. ერთმანეთის გვერდით იდგნენ, თითქოს ერთი და იმავე ფესვიდან ამოჭრილანო. რაღაც მეტისმეტად ლამაზად იდგა ის ორი ხე! როცა ბინდი ჩამოწვებოდა, გეგონებოდათ, კიდევ უფრო ახლოს მიიწევნენ ერთმანეთისაკენო.

— რატომ დგახარ სულ ერთთავად ფანჯარასთან? ვინმეს ელოდები?

ლიონკა შეაკრთო დედის შეკითხვამ.

— არავის ველოდები!

მართლაც, აბა. ვის უნდა დალოდებოდა?

მაგრამ თუმცა ძალზე დიდი დრო გავიდა სოფლიდან დაბრუნების შემდეგ, ის მაინც ყოველ დღე შეჰყურებდა ამ ნაძვსა და არყს, თითქოს მანამდე არც ენახოს და არც შეემჩნიოს... იქ, სოფელში განა არ იყო ასეთები? ლიონკა ცდილობდა გაესხენებინა, მაგრამ ვერ შესძლო.

გაახსენდა სხვა რამ. სიტყვასიტყვით გაახსენდა: „თუ ჩემი გეშინია, უეჭველად წავიყვანოთ ვინმე!.. შენ რა, გაცივდი? იცოცხლე!.. მე კი, სულერთია, ვიკეთებ! ჩემი ხელით შევიკვრე და მიკეთია!.. კომკავშირშიც შევალ. შენ გგონია. არ მიიღობენ? მიმიღებენ!..“

ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინ, ზაფხულამდე, ლიონკა ვერ იტანდა ბუნებაზე დაწერილ ვერავითარ წიგნს. წიგნში თუ ტყეზე ან მდინარეზე საუბარი გამოერეოდა, უეჭველად გამოტოვებდა ხოლმე იმ ადგილებს.

ახლა კი შეიძინა ტურგენევი, პრიშვინი, სოკოლოვ-მიკიტოვი. ბიანკის ყიდვაც უნდოდა, მაგრამ მეტისმეტად საბავშვო ჩანდა: უპირავი ნახატი ჰქონდა ჩართული. თანაც სულ დიდრონები...

- დედა. მომავალ წელს კიდევ გამიშვებ იქ?
- სად? — ჩაეკითხა საჭმეებში გართული დედა.
- ბებიასთან, სოფელში...
- აქი ბანაკში ვინდოდა?... მაშ, მოგწონებია? ძალიან

მოხარული ვარ. — თქვა დედამ. — რა კმაყოფილია შენით. წახვალ. ბებიაც კმაყოფილია შენით.

მას ხან როგორ ეძახდნენ და ხან — როგორ. სკოლაში, ჩვეულებრივ, გვართ მიმართავდნენ. ეზოში, უბრალოდ, ლიონკა იყო, დედ-მამისთვის — ლიონი, ბებიასთვის — ლიონკი.

მხოლოდ იოლკა ეძახდა დიდურად, სერიოზულად — „ლეონიდ!“



— ჩამოხვედი? როგორ მიხარია, ლეონიდ! ლიონკას ეს მოსწონდა.

სოფელი წელს რაღაც სულ სხვანაირი დაუხვდა ლიონკას. ადრე იგი ჩვეულებრივი სოფელი იყო მის თვალში, ახლა კი... თურმე აქ ყოფნა არც ისე ცუდი ყოფილა. სოფლის ერთადერთი ქუჩა ფერდობს მიუყვებოდა ეკლესიისკენ, მერე კი თავისი უკანასკნელი ქოხებით ნორჩ ნაძვანარამდე მიდიოდა. პატარა ტყე იყო. მისგან სულ ორას მეტრში კი მიედინებოდა მდინარე ნარა.

ლიონკა შარავით მიდიოდა ხოლმე, მერე ნარაზე ხილს გადაივლიდა და ფოსტას მიადგებოდა. მშობლებისათვის წერილის მიწერა, სამწუხაროდ, საჭირო იყო. შეპირდა და სიტყვა — სიტყვაა.

სოფელს ყოველი მხრიდან ტყეები ერტყა: ყველა ტყე სხვადასხვანაირი ვახლდათ, კარტოფილის მიწდვრის გადაღმა კილომეტრებზე გადაჭიმულ არყნარს აქა-იქ თხილნარიც შეერვოდა. მემამულის ყოფილი სახლ-კარის იქით მუხნარი შეფენილიყო, უფრო მარცხნივ, გუბურის გადაღმა — ვერხვანარი. ზედ გუბურის გასწვრივ წნორი

გაგიჟებულიყო. გამლილი ტოტები პირდაპირ წყალში ჩამოეშვათ, სადაც უხვად იყო სიმწვანე, ხმაზე წყობილად ყიყინებდნენ ბაყაყები, დაბორილობდნენ წყლის ხოჭობები.

სოფლის გარშემო მინდვრები იყო გადაფენილი. საითაც გაიხედავდით, მარჯვნივ თუ მარცხნივ, ქოხების უკან თუ ქოხების წინ, ეს მინდვრები ჩანდა, ისინი ტყეებს ერთვოდნენ, სადღაც უსასრულობაში იკარგებოდნენ.

მგონი, შარშან ზაფხულშიც უყურებდა ლიონკა ამ მინდვრებს. მაგრამ ხედავდა? არა, ვერ ხედავდა. სასაცილოა? ალბათ.

ბებიას ბაღში ორი ნორჩი მუხა იდგა. ძალზე ცოტა ფოთოლი ესხათ და არც იყო გასაკვირი: მიწა ირგვლივ გადამხმარიყო. წვიმას არა და არ უჩანდა პირი!

როგორც კი თავისუფალ წუთს მოიხელთებდა, ლიონკა ვედროთი ჭიდან წყალს ამოიღებდა და მუხებს უსხამდა. ერთხელ იოლკამ სწორედ ამ დროს მოუსწრო.

— რასა შვრები, ლეონიდ? ამ სიცხეში რატომ რწყავ? ეს მაშინ უნდა გააკეთო, როცა მზე გადაიხრება, თორემ ასე დაგელუბებინა...

ლიონკა დაბნეული იდგა დაუცლელი ვედროთი ხელში. გოგონამ ვედრო გამოართვა და წყალი აწვლს დაუსხა.

მერე წამით იყუჩა, გაიღიმა:  
— შენ კი, ლეონიდ, ძალიან გამოიცვალე. შარშანდელს აქეთ. სულ მთლად მოზრდილი კაცი ხარ...

სოფელს ზშირად დასტრიალებდნენ თავს თოლიები. ლიონკას დიდად არ ეხატებოდა გულზე ეს ჩიტები. დიდრონები იყვნენ, ლამაზები, მაგრამ რალაცნაირი გამოკივებულები, უკეთურები, მოძალადეები...

საიდან გაჩნდნენ ისინი აქ? ნარადან ხომ არ მოფრინდნენ? და სულ ერთთავად გუბურას რატომ დასტრიალებენ?

სერიოზოში დიდი გუბურაა. ზოგიერთი ტბასაც კი ეძახის. ზედ სკოლის გვერდითაა, ყოფილ მემამულის პარკში. გუბურის შუაგულში ლელიანის კუნძულია. მას უხვად მოსდებია შვიტა და ორკბილა. გუბურის ნაპირებზე კი ლერწამი და რქაფოთოლა ხარობს. გუბურა კი არა, ნამდვილი ჯუნგლია.

როცა იოლკას ვერ იპოვიდა, ლიონკა ზშირად ატარებდა დროს ამ გუბურაზე. რა თქმა უნდა, მარტო არა, ბიჭებთან ერთად მოდიოდა ხოლმე. კარჩხანებს იჭერდა. მაგრამ ეს თოლიები...

ანკესის გადაგდებას ვერ მოასწრებ, რომ იქ გაჩნდებიან. წყალს ისე დასტრიალებენ. თითქოს დაჭვრილი თევზის წართმევას ვიპირებდნენ. ამას გარდა, ძალზე უსიამოვნო ხმა აქვთ.

ბიჭები ამბობდნენ, შორს, ლელიანში, თოლიები ბარტყებს ჩეკენ, მერე კი, ცოტას რომ წამოზრდიან, მიატოვებენ და გაფრინდებიან. ბარტყებიც ცოტას მიიხედ-მოიხედავენ, საკვების შოვნას ისწავლიან და ისინიც გაუტევენო სახეტილოდ.

„მართლაც საძაგელი ჩიტები არიან!“ — ფიქრობდა თავისთვის ლიონკა.

ერთხელ, როცა კლუბში მიდიოდნენ და გუბურას ჩაუარეს, იოლკასაც გაუზიარა თავისი აზრი.

— საძაგლებიო, ამბობ? მიფრინავენო? — ჩაეკითხა იოლკა. — ნეტა ყველა ასეთი საძაგელი იყო! შენ ალბათ არ იცი, რომ ღამით ისინი აქ, გუბურაზე ბრუნდებიან. არ იცი! შემოდგომაზე კი, უცხო ქვეყნებში რომ გაფრინდებიან, მერე, როგორ ფიქრობ, რა ხდება? გასამრავლებლად ისევ აქ ჩამოდიან, რომ შვილები შშობ-

ლიურ მხარეში დაზარდონ! შენ კი ამბობ, საძაგელი არიანო.

— საბანაოდ წავიდეთ? — ჰკითხა ერთხელ იოლკამ. ჩვეულებრივი კითხვა იყო, ეს რომ სოფლის რომელიმე ბიჭს ეკითხა, ლიონკა მაშინვე უპასუხებდა, რა თქმა უნდაო.

მაგრამ კითხვა იოლკამ მისცა. მასთან ერთად არც ერთხელ არ ყოფილა საბანაოდ. საერთოდ, გოგობთან ერთად არასოდეს უბანავია.

— წავიდეთ, — წამოიქნავლა ლიონკამ, რაკი მიხვდა, რომ მეტი დუმილი აღარ შეიძლებოდა.

ისინი მივიდნენ ნარას ციცაბო ნაპირზე. ლიონკა უწინაც აქ ბანაობდა ხოლმე. იოლკა სადღაც გაიქცა, მიეფარა. ტანსაცმელი გამოიცვალა, დაბრუნდა და თქვა:  
— შენ რა, არ აპირებ ბანაობას?

— როგორ არ ვაპირებ! — ლიონკამ ფაცაფუციტ დაიწყო გახდა.

ეტყობოდა, იოლკა ვერ ამჩნევდა ლიონკას დარცხვენას.

— კარგია ჩვენი ნარა, ხომ მართალია? — ჰკითხა გოგომ და მაშინვე დასძინა: — ამ მდინარემდე ნაპოლენმა მოაღწია. ისტორია ვიყვარს? — (ლიონკამ ვერ მოასწრო პასუხის გაცემა; ამ მომენტში ტრუსებს ისწორებდა). — მე ძალიან მიყვარს! გახსოვს, კუტუზოვმა მოსკოვი რომ დათმო, მეფეს რა უპატაკა? მე ზეპირად მახსოვს. აი...

იოლკა წელში გაიმართა:

— „მოწინააღმდეგის მოსკოვში შესვლა ჯერ კიდევ არ ნიშნავს რუსეთის დაპყრობას. თუმცა ვერც იმას უარვყოფ, რომ დედაქალაქის აღება მტკიცეული ჭრილობა იყო, მაგრამ მთავარია შევიწარჩუნოთ არმია. ახლა მთელი მონღოლებით ვამზადებ ოპერაციას, რომლის შედეგად ტულისა და კალუგის გზებიდან დაწყებული ჩემი ჯარები თუნდა გადავკვეთო მოწინააღმდეგის ხაზი, რომელიც გაჭიმულია სმოლენსკიდან მოსკოვამდე, რის შედეგად მტერს მივაყენებ ყველანაირ უსიამოვნებას, რაც კი მოწინააღმდეგის არმიას ზურგიდან შეიძლებოდა ჰქონოდა, ამით მივიქცევ მტრის ყურადღებას, იძულებულს გავხდი, დატოვოს მოსკოვი...“

ლიონკა კინაღამ გადაირია.

— საიდან იცი ეს ყველაფერი?

— ერთ წიგნში წავიკითხე. როგორ თუ საიდან?

— და დაისწავლე?

— საგანგებოდ არ დამისწავლია. ისე დამამახსოვრდა...

— ყოჩაღ!

ლიონკას სკოლაში ლექსების სწავლაც კი უჭირდა ზეპირად, ამას კი კუტუზოვის მთელი წერილი დაუზებირებია.

— ხოლო მერე, ამ წერილის შემდეგ, — განაგრძო იოლკამ, — კუტუზოვმა მართლაც ეშმაკობით აჯობა ნაპოლენს, რიანანის გზით წავიდა და უცებ მოულოდნელად მობრუნდა უკან, კალუგის გზაზე ტარუტინო გახსოვს?

— მახსოვს, — ყოყმანით მიუგო ლიონკამ.

— აი, სწორედ ტარუტინოს მისადგომებთან გაუმართა მაშინ კუტუზოვმა ბრძოლა ნაპოლენს. „სოფელმა ტარუტინომ, — წერდა ის ბრძოლის შემდეგ, — უკვდავო რუსეთის ჯარები მტერზე გამარჯვებით. დღეიდან მისი სახელი ჩვენს მატთანებში პოლტავის გვერდით უნდა ბრწყინავდეს. მდინარე ნარა კი ჩვენთვის ისეთივე ცნობილი გახდება, როგორც ნეპრიადვა. რომლის ნაპირებზედაც დაიღუპნენ მამაის ურიცხვი დამცველები...“ აი, ასეა საქმე!..



— და ეს ყველაფერი შენ ასე კარგად იცი? — გაოცებული იყო ლიონკა.

მერე იზანავეს. ლიონკა ცდილობდა ყვინთვის და ცურვის კლასი ეჩვენებინა. ცურვით იოლკაც კარგად ცურავდა, მაგრამ ყვინთვისა რა მოგახსენოთ...

— თი-თი, ლეონიდ, გეხვეწები, ნუ შვრები ასე! შეიძლება დაიხრჩო! — შესძახებდა ის, როცა ლიონკა წყლიდან ზედაპირზე ამოდიოდა. სულს ძლივს ითქვამდა და მანც ძალზე ბედნიერი იყო. — ამას გარდა, გავიხედოთ და იქ, ფსკერზე, მელანთევზა ზის! გტაცებს პირს! — იოლა უკვე გულიანად იცინოდა. — ანდა კიდევ უკეთესი: რომელიმე ფრანგი, იმ სამამულო ომის დროინდელი? ჰა?

მდინარე ნარა. პატარა მდინარე ნარა. საყვარელი მდინარე ნარა. სიგრძე ას სამოცდაცამეტი კილომეტრი აქვს, მარცხნიდან ერთვის ოკას.

მორბის პატარა, მიხვეულ-მოხვეული მდინარე. გაბარდნილა ლერწამი და ისლი, გაყოლებით კი — მინდვრები, ნორჩი სიმწვანე, ყვავილებით გადაჭრელებული. ეტყობა, ეს მდინარე გაზაფხულობით დიდდება და გადარეცხილი ნაპირებით ტყის პირამდე აღწევს. ტყე ნაძვარია და მუხნარი, თხილიც ურევია. ბალახში ისლი, ჭყეტელა მაჩიტა, მარწყვი და შროშანას ფოთლები მოჩანს. იქვე, გვერდით, ხავსი და ხავსურაა. ხალიჩების მთელი კუნძულებია. ცოტა მოშორებით ანწლი, ძეწნარი და ასკილის ბუჩქებია. ტოტები ციცაბო ნაპირებიდან პირდაპირ წყალში გადმოკიდულან. ისლიც ხარობს, თეთრი ღუმფარაც და შვიტაც. მდინარე ვარშემო უვლის გადარეულ სიმწვანეს და მარჯვნივ მიიწევს დაბალი ნაპირისაკენ. ლესავს და ლესავს ნარა მარჯვენა ნაპირს და კარგი სილიანი პლაჟიც მოუწყვია. იზანავე, სანამ გულს ესამოვნება!

ან ერთი, მარცხენა ნაპირს გახედე! თუმცა, რა გახედვა გინდა, მდინარე ნარა ვანიერი არ არის. შეგიძლია გადაცურო. ზოგ ადგილას კი ფონიც აქვს. თუ გინდა, ფეხითაც გადახვალ.

სილას რომ გაცდები, ფიჭვის სურნელს ჩაისუნთქავ. ხანდახან მას ჯიქას, შოთხვის და ხეჭრელის სურნელიც გამოერევა. იყურე ძირს, მოკრიფე და ჩაიგებრივლე პირი ყველაფრით, რაც სულსა და გულს ეამება. აქ კარგად ჩამწიფებულ მარწყვსაც იპოვი, მოცვსაც, ცოტას თუ გაივლი, ახალ-ახალ ყოლოსაც წააწყდები. მართალია, ყოლოს ჭინჭარი შემოსდებია, მაგრამ ჭინჭარი ჭერ ვადაბარდნილი არ არის — შეგიძლია სახელოთი გადასწიო და ფეხით მიწას გააკრა.

დრო მიდიოდა. კვლავ გალობდნენ ბულებულები სეროჟკიში, გრიალებდა პატეფონები. სიხარულის მომგვრელად გამოჩნდებოდა ყამი-ყამ ახალჩაყრილი თეთრი ბოძები, რომლებსაც სულ მალე სინათლე და რადიო უნდა მოეტანათ. და ჭახუნებდა ძრავა ხალხით გაჭედვით კლუბის გვერდით, სადაც საერთაშორისო საკითხზე ჩატარებული ლექციის მერე კონცერტი ტარდებოდა. ამ კონცერტზე, რა თქმა უნდა, იოლკაც გამოდიოდა.

— ბები, რას აკეთებ იმ შენს ბრიგადაში?

ყოველ დღით, უთენია ვადიოდა ალექსანდრა ფეოდოროვნა სახლიდან, სადილობისას შემოირბენდა ქოხში, სულ რაღაც ნახევარი საათით, რომ ლიონკასთვის ეკმია, და მერე ისევ გაქრებოდა საღამომდე.

ალექსანდრა ფეოდოროვნა თავდაპირველად ვერ მიხვდა.

— როგორ თუ რას, ლიონკა? — ჩაეკითხა ის. — რასაც ყველა. სადაც კოლმეურნეობა გაგვიშვებს, გასა-

თონად, მოსავლის ასაღებად თუ რაიმე მშენებლობაზე ჩვენც იქ მივდივართ. ახლა თიბვანა, მაგალითად. ტყეში ვთიბავთ, ხევეებში. მალე სამყურა შემოვა...

მერე კი ალექსანდრა ფეოდოროვნა თითქოს მიხვდა რაღაცას:

— შენ რა გაინტერესებს, ლიონკა? ჩემთან ზომ არ გინდა ბრიგადაში მუშაობა? ვერა, ლიონკა, ვერ მიგიღებ! ისედაც ვიცი, რომ მთელი ზაფხული შრომობ. გგონია, ვერა ვხედავ? ხალხიც ამბობს. როგორ უნდა შევხედო დედაშენს თვალებში? შენ მინდორს ერთი წუთით არა სცილდები. ეგეც დიდი დახმარებაა კოლმეურნეობისათვის, საკმარისია, ლიონკა...

არავითარ კოლმეურნეობაზე ახლა ლიონკა არა ფიქრობდა. სასაცილოა. ალბათ? ალბათ...

სასაცილოა, მაგრამ ლიონკას რატომღაც ახლა ძალიან სურდა იოლკას დამსგავსებოდა. იმ იოლკას, რომელმაც იცოდა ძროხის მოწველაც და თივის დაბუღულობაც. იმ იოლკას, რომელიც მარგლავდა ჭარხალს და თიბავდა ბალახს. ერთი სიტყვით, იმას, როგორსაც ის ხედავდა და იცნობდა!

— თუ მანცადამანც დახმარება გინდა, — შესთავაზა ალექსანდრა ფეოდოროვნამ, — მაშინ წადი ხვალ ბაზარში. სწორედ დასვენების დღეა, ბაზრობა იქნება. მე თვითონ წავიდოდი, მაგრამ ბალახის მოთიბვა ჭერ არ დაგვიმთავრებია.

ეს კი ლიონკას გუნების საქმე იყო. მოსკოვში ბაზარშიც უყვარდა სიარული და მალაზიებშიც. ყოველთვის აქებდა დედამისი: „ყველაფერი ჩემზე უკეთესი იყიდა. ხორციც რა შესანიშნავი აურჩევია. ყოჩაღ, ლიონკა!..“

დღით ის და იოლკა ბაზარში წავიდნენ. ნორჩი ნაძვნარი გადაიარეს ქვევით დაეშენენ, ნარასთან, მერე კი ხიდზე გადავიდნენ და გზა განაგრძეს. სილიან მეჩჩიხე საქმიანი ბოლოქანქალები კუსკუსებდნენ. ტყეში კი, მდინარის მარცხნივ და მარჯვნივ, გაბმით ჭიკჭიკებდნენ წიწკანები. ჭახუნებენ კაპკაპები. მათ ეხმარებოდნენ შაშვები და მოლაღურები და სადაც შორს ყრუდ დასძახოდა „გუგუუს“ გუგული.

უკან რომ ბრუნდებოდნენ და საყიდლებით სავსე კალათით ხელში ჭრიჭინა ხის ხიდზე გადმოდიოდნენ, ლიონკამ უცებ დალანდა ციცაბო თხრილზე ასვეტილი ნაძვი და არყის ხე. ზუსტად ისეთები, როგორიც მათ სახლთან იყო მოსკოვში. ისევე ერთმანეთის გვერდით იდგნენ, თითქოს ერთი ფესვიდან ამოზრდილანო. მხოლოდ ნაძვი ცოტა უფრო ბაცი ფერისა იყო და არყიც ცოცხალი მოშრიალე ფოთლებით იყო დაფარული. იმ წამსვე გაახსენდა ისინი — შარშანაც ჭჭონდა ნანახი...

ლიონკამ დაუსტვინა კიდევ მოულოდნელი სიხარულისაგან, ფეხი გაჰკრა რაღაც ნაფოტს, რომელიც ხიდის მოაჯირს ვადაცდა და მდინარისაკენ ბზრიალ-ბზრიალით დაეშვა.

— რა მოგეჩვენა, ლეონიდ? — სერიოზულად ჰკითხა იოლკამ.

მას გაეცინა.

— არაფერი! უბრალოდ, მომწონს აქაურობა!

— გინდა, ერთხელ ნარას გუბურაზე წავიდეთ! — უთხრა იოლკამ. — ოღონდ ცხენი უნდა გამოვართვათ კოლმეურნეობას, თორემ ძალიან შორია...

ლიონკას ჭერ არ გაეგონა ნარას გუბურა.

— იცი, იქ რა კარგია? — განაგრძობდა იოლკა. — სულ ოთხსაათნახევრის გზაა... ერთი სიტყვით, თუ წახვალ, მთელი დღით უნდა წახვიდე.

— თანახმა ვარ, წავიდეთ, — კვერი დაუჭრა ლიონკამ.

— მაგრამ როდის?

დასასრული შემდეგ ნომერში

# კ ი რ ვ ე ლ ი ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი

## ვ ა ნ ზ ა ნ ზ კ ნ ე ლ ა ქ ა

კარგი იყო ეს ზაფხული,  
გვიშრომია, გვირბენია.  
ახლა ისევ ერთადა ვართ,  
დღეს სექტემბრის პირველია.

სკოლისაკენ მივაბიჯებთ,  
ვით მეგობარს, მზეს შევცქერით.  
ოქროს ხელით ოქროს ზარებს  
რეკს პირველი სექტემბერი.

ცოდნის ყანის მოსამკლად  
ქალ-ვაჟების შემკრებელი,

სიხარულის უშრეტ წყაროდ  
ჩქეფს პირველი სექტემბერი.

შემოდგომა ზვრებს და ბალებს  
რთავს, ჯვარს იწერს ფერზე  
ფერი,  
ფერთა ქორწილს ახალისებს,  
მაყარია სექტემბერი.

გამარჯობათ, ოსტატებო,  
გესალმებით შეგირდები.  
კარგად სწავლას და მისაბაძ

ყოფაქცევას შეგპირდებით.

ზოგს ახალი სკოლა გვიცდის  
და ღიმილი ახალ გზათა,  
ჩვენს ბედს ბევრი  
შემონატრის —  
მოხუცი თუ ახალგაზრდა.


ნაუ, ნაუ, — რეკავს ზარი  
უთვალავი, ბევრზე ბევრი  
და ამაყად ჩვენს მიწაზე  
დააბიჯებს სექტემბერი.

ელექტრონული გამომთვლელი მანქანა (ეგმ)...

სულ რაღაც სამი ათეული წელიწადია, რაც ეს ცნება დამკვიდრდა ჩვენს ლექსიკონში. დღეს კი ეგმ-ის გამოყენების გარეშე წარმოუდგენელია მეცნიერების, წარმოების, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, მედიცინის სწრაფი განვითარება; თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკა ადამიანის მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროში შეიჭრა.

მაინც, რა შეუძლია ეგმ-ს? რა და მრავალი სამეცნიერო და ტექნიკური, რადიოელექტრონული მოწყობილობებისა და სამშენებლო ობიექტების დაპროექტება, ამინდის პროგნოზი, კოსმოსური ხომალდების, თვითმფრინავებისა და საოკეანო ლაინერების მართვა და ა. შ. გარდა ამისა, გამომთვლელ მანქანას „შეასწავლეს“ ავადმყოფობის დიაგნოზის დასმა, ჭადრაკის თამაში, მუსიკისა და ლექსების შეთხზვა, ხატვა და ხაზვა. ამავე დროს, ეგმ-ის შესაძლებლობები დღითი დღე იზრდება.

გამომთვლითი ტექნიკის წარმოშობა და განვითარება მჭიდროდა დაკავშირებული მათემატიკის პრაქტიკულ გამოყენებასთან. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ესპანელმა ლვთისმეტყველმა ლულოლმა შექმნა მანქანა, რომელიც პასუხს იძლეოდა კითხვებზე: „რამდენი?“, „როდის?“, „ორიდან რომელი?“ და ა. შ. ეს იყო ადამიანის ტვინის მექანიკური მოდელირების პირველი ცდა. მართალია, აღნიშნული მანქანა საკმაოდ პრიმიტიული იყო და პრაქტიკული გამოყენებისათვის არ გამოდგებოდა. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა არითმეტიკულ ოპერაციათა მექანიზაციის საქმეში. 1623 წელს ვ. შიკარდმა (გერმა-



# ეგმ-ი

## კუჩხ, დღეს, ხველ...

ნია) შექმნა პირველი გამომთვლელი მანქანის პროექტი, რომელიც მიმატება-გამოკლების ოპერაციებს შეასრულებდა. პირველი მოქმედი მანქანა, რომელსაც შეეძლო მიმატება და გამოკლება, შექმნა გამოჩენილმა მათემატიკოსმა და ფიზიკოსმა ბ. პასკალმა (საფრანგეთი) 1641 წელს. 1673 წელს დიდმა გერმანელმა მათემატიკოსმა გ. ლაიბნიცმა შექმნა გამომთვლელი მანქანა, რომელიც ოთხივე არითმეტიკულ ოპერაციას ახორციელებდა.

ზემოაღნიშნულ სათვლელ აპარატთა არასრულყოფილობა, დამზადების სიძვირე, მწყობრიდან ხშირი გამოსვლა ხელს უშლიდა მათ ფართო გამოყენებას. გასაგებია, რომ ტექნიკის განვითარების დონე იმ დროისთვის ჯერ კიდევ დაბალი იყო. მაგრამ დრო ადგილზე არ იდგა და მექანიკური სათვლელი მანქანები

თანდათან უმჯობესდებოდა. უკვე 1821 წ. კ. თომასმა შექმნა და სერიულად გამოუშვა პირველი არითმომეტრები. XIX საუკუნის განმავლობაში შეიქმნა სათვლელი მექანიკური მანქანების ბევრი კონსტრუქცია, გაიზარდა მათი სიზუსტე და სიძვირობა. რამდენიმე სახის სათვლელი ხელსაწყო შეიქმნა რუსეთშიც. ესენი იყო ფ. სლობოდსკის (1828 წ.), ზ. სლონიმსკის (1845 წ.) და ი. შტოფელის (1846 წ.) სათვლელი მანქანები. არითმომეტრების შექმნაში თავისი სიტყვა თქვა გამოჩენილმა მათემატიკოსმა პ. ჩებიშევა (1878 წ.). სიახლე, რომელიც გამოიხატებოდა არითმომეტრში ახალი ტაპის კბილანების გამოყენებაში, შემოიტანა ვ. ოლნერმა (1870-1880 წ. წ.). ოლნერის არითმომეტრებმა სახელი გაითქვეს და XX საუკუნის პირველი მეოთხედის განმავლობაში ისინი ძირითად სათვლელ მანქანებად ითვლებოდნენ. ყველა ეს მანქანა მექანიკურ მოწყობილობას წარმოადგენდა და ვერც ერთი მათგანი ვერ გამოდგებოდა ელექტრონული გამომთვლელი მანქანის შესაქმნელად.

XIX საუკუნის დასაწყისში გამოჩენილმა ინგლისელმა მათემატიკოსმა ჩარლზ ბებიჯმა ჩამოაყალიბა სათვლელი მოწყობილობის მუშაობის პრინციპები, რითაც თითქმის 150 წლით ადრე იწინასწარმეტყველა ეგმ-ის გაჩენა.

ჩ. ბებიჯის აზრით, „ანალიზური“ მანქანა უნდა შემდგარიყო სამი ძირითადი ნაწილისაგან:

1. მოწყობილობა, სადაც ინახება ინფორმაცია რიცხვების სახით. ბებიჯმა მას „საწყობი“ უწოდა. „საწყობში“ შენახული რიცხობრივი ინფორმაციის შეტანა და გამოტანა ხორციელდება კბილანების საშუალებით. ანალოგიური მოწყობილო-



ბა, მაგრამ, რა თქმა უნდა, კბილანების გარეშე, აქვს თანამედროვე ეგმ-ს და მას მესხიერების მოწყობილობა ჰქვია;

2. მოწყობილობა, სადაც ხორციელდება არითმეტიკული ოპერაციები „საწყობიდან“ აღებულ რიცხვებზე. ბებიჯმა მას „ფაბრიკა“ უწოდა. თანამედროვე ეგმ-ში ასეთ მოწყობილობას არითმეტიკული მოწყობილობა ეწოდება.

3. მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც ხორციელდება არითმეტიკული ოპერაციების მიმდევრობის მართვა, „საწყობიდან“ რიცხვების ამორჩევა. „ანალიზური“ მანქანაში ამ მოწყობილობას სპეციალური სახელი არ გააჩნდა, თანამედროვე ეგმ-ში კი მას მართვის მოწყობილობა ჰქვია.

გარდა აღნიშნული მოწყობილობებისა, ეგმ-ში არის ინფორმაციის შეტანის, გამოტანის და ე. წ. გარეშე მესხიერების მოწყობილობები.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მოწყობილობა ჩ. ბებიჯის მანქანაში გააზრებული იყო, როგორც მექანიკური, მუშაობის პრინციპების მხრივ „ანალიზური“ მანქანა და ეგმ-ი ანალოგიური არიან.

ელექტრობაზე წარმოდგენების განვითარებასთან ერთად გამოთვლით ტექნიკაში გამოყენებას პოულობს ელექტრონერგია, ჯერ როგორც მექანიკური ნაწილების მამოძრავებელი ფაქტორი, შემდეგ კი, როგორც ძირითადი ელემენტი თვლის პროცესებში.

მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა გამოთვლითი ტექნიკის განვითარებაში მას შემდეგ, რაც 1888 წ. ჰ. ჰოლერიზმა (აშშ) შექმნა სათვლელი მოწყობილობა, ე. წ. ტაბულატორი, რომელშიც ელექტრული დე-

ნი გამოყენებული იქნა ინფორმაციის გასაშიფრად.

XX საუკუნის დასაწყისიდან, მას შემდეგ, რაც შეიქმნა პირველი რადიომიმღები და შემდგომ აღმოაჩინეს ელექტრონული ემისიის (გახურებული ლითონების ზედაპირიდან დამუხტული ელემენტარული ნაწილაკების — ელექტრონების ამოფრქვევა) მოვლენა, ხოლო მის საფუძველზე გაჩნდა რადიოელექტრონული მილაკი, წარმოიქმნა ხელსაყრელი პირობები ეგმ-ის შექმნისათვის. წამყვანი განვითარებული ქვეყნების მეცნიერთა ჯგუფები შეუდგნენ აქტიურ გამოკვლევებს ამ მიმართულებით. და აი, 1945 წ. ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯ. მაურლისა და ჯ. ეკერტის ხელმძღვანელობით შეიქმნა პირველი ელექტრონული გამომთვლელი მანქანა, რომელსაც „ენიაკ“-ი დაარქვეს.

ამავე პერიოდში ანალოგიური მანქანები შეიქმნა გერმანიასა და ინგლისში. 1951 წ. აკადემიკოს ს. ლებედევის ხელმძღვანელობით შეიქმნა პირველი საბჭოთა ეგმ-ი „მესმ“-ის სახელწოდებით. დაღვა ეგმ-ის ხანა.

1952-1953 წლებში ეგმ-ის რაოდენობა მსოფლიოში არ აღემატებოდა რამდენიმე ათეულს, 1965 წელს 40 ათასს მიაღწია, 1970 წელს — 100 000-ს. ამჟამად ეგმ-ის საერთო რიცხვმა 500 ათასს გადააჭარბა.

რაოდენობრივ ზრდასთან ერთად მიმდინარეობდა ეგმ-ის სრულყოფის პროცესი. იმის მიხედვით, თუ როგორი ძირითადი მახასიათებლები აქვთ ელექტრონულ გამომთვლელ მანქანებს (რა საშუალო ელემენტებზეა აგებული სწრაფქმედება, ანუ წამში რამდენ ოპერაციას ასრულებს, მესხიერების ტევადობა და სხვ.), მიღებულია გამომთვლელი მანქანების თაობებად დაყოფა.

პირველი თაობის მანქანებში მუშაო ელემენტებად გამოყენებული იყო ელექტრონული რადიომილაკები; სწრაფქმედება შეადგენდა წამში 100-დან 10 000-მდე ოპერაციას (იგულისხმება ისეთი მარტივი არითმეტიკული ოპერაციები, როგორიცაა მიმატება და გამოკლება); ძირითადი, ანუ ოპერატიული მენსიერება შეადგენდა 2000-4000 მანქანურ სიტყვას (მანქანური სიტყვა ეწოდება რიცხვების ენაზე წარმოდგენილ ძირითად მათემატიკურ ნიშნებს, ალფავიტის ასოებს, ძახილის ნიშნებს და ა. შ.). ყველაანაირი ნიშნების რიცხვით ენაზე გადაყვანის პროცესს კოდირებას უწოდებენ. კოდირების აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ მანქანას მხოლოდ რიცხობრივ ინფორმაციას არჩევს.

პირველი თაობის სერიული საბჭოთა მანქანებიდან შეიძლება დავასახელოთ „სტრელა“ (1953 წ.), „ბესმ-2“ (1959 წ.), „მ-20“ (1959 წ.), „მინსკ-1“ (1960 წ.).

მეორე თაობის მანქანებში ელექტრონული რადიომილაკები შეცვალეს ნახევარგამტარულმა ელემენტებმა (ტრანზისტორებმა). გიგანტურ სწრაფქმედება — 10 000-100 000 ოპერაცია წამში და სათანადოდ — ოპერატიული მესხიერების ტევადობა (10 000 მანქანური სიტყვა) ამ თაობის საბჭოთა მანქანებიდან შეიძლება გამოვყოთ „მინსკ-32“, „მ-220“, „ბესმ-4“, „ბესმ-6“. უნდა აღინიშნოს, რომ ეგმ-ი „ბესმ-6“, რომლის სერიული გამოშვება 1967 წელს დაიწყო, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი და სრულყოფილი ეგმ-ია მეორე თაობის მანქანებიდან. მისი სწრაფქმედება (მილიონი ოპერაცია წამში) და ოპერატიული მესხიერება (100.000-ზე მეტი მანქანური სიტყვა) ბევრად აღემატება მეორე თაობის მანქანათა შესაძლებლო-



ამჯერად ვთავაზობთ თითო პარტიას ორი მეცნიერის, ჰდრაკში ოსტატობის კანდიდატების ელუარდ გერსამიასა და მერაბ თხელიძის ადრეული შემოქმედებიდან. პირველი გათამაშდა „ქარიშხალას“ საკავშირო გუნდურ ჩემპიონატში, ხოლო მეორე — თბილისის ვაჟთა ჩემპიონატში.


**უპირატესობა  
ბანვითანაცხადში,  
კომპიონატის  
მოტივების  
ჩასახვა**

**პარტია № 7**  
**სიცილიური დაცვა**  
**გარსამია**  
(თბილისი. ოსტატობის კანდიდატი)  
**მოკვოვიკი**  
(გროზნი. ოსტატობის კანდიდატი)  
მოსკოვი, 1959 წელი.  
1. e4 e5 2. მ3 მც 3. d4 cd  
4. მ×d4 მf6 5. მc3 d6 6. ჯc4 e6 7. ჯe3 ა6 8. ა3 მ×e4?

გერსამია პოულობს ობტიმალურ ვაგრძელებას. ააშკარავებს

ამ ტიპური ილეთის მცდარობას მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში. საჭირო იყო განვითარება 8. ... ჯe7  
9. მ×e4 d5 10. მ×c6 bc 11. მგ5! ჯe7 12. ლh5 გ6 13. ლh6 ჯf8 14. ლh3 dc  
შავები კატასტროფულად ჩამორჩნენ განვითარებაში. იგრძნობა შავუჯროვანი ტერიტორიის სისუსტე.

15. 0—0 f6 16. ეad1 ლc7 17. მe4 ჯe7 18. ლh6 მგf7 19. ეd2 ლe5 20. მგ5  
სავარაუდებელია, რომ გერსა-



ბებს. თბილისში ორი „ბესმ-6“ მუშაობს და ორივე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტშია.


**მესამე თაობის მანქანები.** ნახევარგამტართა ტექნოლოგიის სრულყოფამ შესაძლებელი გახადა ერთ პატარა კრისტალზე მცირე ელექტ-

აიგო რიგი სოციალისტური ქვეყნების მონაწილეობით და, 1972 წლიდან დაწყებული, გამოვიდა გამოთვლითი მანქანების მთელი სერია „ერთიანი სისტემის ეგმ-ის“ სახელწოდებით.

**მეოთხე თაობის მანქანებში** სამუშაო ელემენტებად გამოყენებულია

ოდენობა სრულდება, რის ხარჯზეც სწრაფქმედება გაიზარდა წამში ოთხჯერ და ოპერაციამდე. დის-ის გამოყენება ეგმ-ის ზომების შემცირების საშუალებას იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ მეოთხე თაობის მანქანების გამოშვება უკვე დაიწყო (საბჭოთა კავშირში ამ თაობის მანქანები დამუშავების პროცესშია), ისინი შეიძლება ჩავთვალოთ ახლო მომავლის მანქანებად.

მეოთხე თაობის მანქანები გამოთვლითი ტექნიკის მომსახურების პრინციპულად ახალ საფეხურზე აყვანის საშუალებას იძლევიან. ახლო მომავალში შეიქმნება მძლავრი გამოთვლითი ცენტრები. ამ ცენტრებთან დაკავშირება შესაძლებელი იქნება (სატელეფონო, სატელეგრაფო, კავშირგაბმულობის, თანამგზავრების გამოყენებით) საბჭოთა კავშირის ნებისმიერ ადგილთან. დროთა განმავლობაში აღნიშნულ გამოთვლით ცენტრებში დაგროვდება საკმაოდ სრული ინფორმაცია ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროდან. არცთუ ისე შორსაა ის დრო, როდესაც რაიმე საკითხით დაინტერესებული პიროვნება ბიბლიოთეკაში წასვლის და რამდენიმე დღის დაკარგვის ნაცვლად ტელევიზორთან შეერთებული სპეციალური მოწყობილობის საშუალებით შეკითხვას გაუგზავნის გამოთვლით ცენტრს, რომელიც რამდენიმე წუთის განმავლობაში ეკრანზე გამოსახავს ამომწურავ პასუხს. და ეს იქნება მხოლოდ მცირე ნაწილი იმ ვეებერთელა შესაძლებლობებისა, რასაც ეგმ-ი გვპირდება.



ელექტროგამომთვლელი მანქანა „ბესმ-6“-ის მართვის პულტი.


რონული სქემის შექმნა. ასეთ ელემენტებს ინტეგრალურ სქემებს უწოდებენ. სწორედ მათ შეცვალეს ტრანზისტორები მესამე თაობის მანქანებში. სწრაფქმედებამ წამში 10 მილიონ ოპერაციას მიაღწია, ხოლო ოპერატიული მეხსიერება მეორე თაობის მანქანებთან შედარებით რამდენჯერმე გაიზარდა. საბჭოთა კავშირში მესამე თაობის მანქანები

ე. წ. დიდი ინტეგრალური სქემები (დის). დის-ი წარმოადგენს კრისტალს, რომელზედაც ვახლავებულია რამდენიმე ათასი ელემენტი. ერთ დიდ ინტეგრალურ სქემას შეუძლია შეცვალოს პირველი თაობის ეგმ-ის მთელი არითმეტიკული მოწყობილობა.

მეოთხე თაობის მანქანებში ერთდროულად ოპერაციების დიდი რა-

- 3. **მელაძე,**  
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა  
კანდიდატი.
- 4. **წვერიკამაზაშვილი,**  
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა  
კანდიდატი.

მიამ აქ ჩაიფიქრა თავისი მშვენიერი კომბინაცია.  
20. ... მფგ8 21. ეfd1 ლ7



თვალის გადავლებითაც საცნაურია თეთრების დიდი პოზიციური უპირატესობა.

წონასწორობის მკვეთრი დარღვევა ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ, პოზიციის განსაკუთრებული კომბინაციის არსებობას მოასწავებს, რაც გვიბიძგებს პოზიციის დეტალური შეფასებისაკენ — მოტივების დასადგენად. ეს უკანასკნელი თავის მხრივ კომბინაციის ელემენტაცაა, განმაპირობებელი და საფუძველი. მოტივი ან მოტივები წარმართვენ ჩვენს აზ-

როვნებას საჭირო მიმართულებით — კომბინაციის განსახორციელებლად.

ახლა შევაფასოთ პოზიცია: შავი მეფე მე-8 ჰორიზონტალზეა გამოკეტილი, ეტლები გამოთიშულია ბრძოლის ასპარეზიდან. ეს განაპირობებს მე-8 ჰორიზონტალის სისუსტეს (მოტივი), რასაც ერთვის თეთრი ეტლების თავმოყრა ღია ხაზზე — სასტარტო მდგომარეობა! ეს მოტივები წარმოშობენ ახალ მოტივს — კრიტიკულ d8 უჯრას, რაც თავისთავად იწვევს

ლაზიერისა და e7 კუს გადატვირთვას. ესეც მოტივია. ეს უკანასკნელი მოტივი განსაზღვრავს კომბინაციის იდეას...  
22. კc5!  
ამ სვლაში ჩაქსოვილია „გათრევის იდეა“, რაც დამახასიათებელია (დაცვის განდგურებასთან ერთად) მერვე და პირველი ჰორიზონტალის სისუსტესთან დაკავშირებული ტაქტიკური ოპერაციებისათვის.  
22. ... fg



თავის ძარღვი

ზოგიერთი აფრიკული სპილო თევზის „კერძის“ დიდი მოყვარულია. ვირუნგის ეროვნულ პარკში ტბის პირას გაშენებულ სოფელში ყოველი შუადღისას სპილოები გამოჩნდებიან ხოლმე — სწორედ ამ დროს

იწყებენ მეთევზეები ნავებიდან ნადავლის გაღმობვითვას. განსაკუთრებით ერთი სპილო იჩენს თევზის „კერძის“ დიდ სიყვარულს. სოფლებმა მას „თევზის ქურდი“ შეარქვეს. ერთხელ ამ სპილომ ერთ ჭერზე თვარამეტი თითოკილოგრამიანი თევზი შეხანსლა და ზედ კლდის პითონი დააყოლა.

**ოზონის მპარცველები**

არიან ჩიტები, რომლებიც რეგულარულად ძარცვავენ ოზონს. კოლიბრი, ნიბლია, მთიულა უხირცხვილოდ იპარავენ ოზონს ქსელში გახმულ მწერებს.

**მომარბინე თარამომებრი**

ინგლისელმა ბიოლოგებმა ამას წინათ საინტერესო ფაქტი დაადგინეს. თურმე კრიჭინებისა და კრიჭინობლების მიერ გამოცემული ხმების სიხშირე პირდაპირ და-

მოკიდებულია ჰაერის ტემპერატურაზე. მეცნიერებმა შეადგინეს კრიჭინის სიხშირის ცხრილები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია ჰაერის ტემპერატურის განსაზღვრა ერთ გრაფულამდე სიზუსტით.



უკეთესი არ ჩანს.

23. ედ8!

ეს ტაქტიკური დარტყმა „გათრევის იდეას“ განასახიერებს.

27. ... მფ7 24. ეxh8

შავები დანებდნენ.

პარტია გვიბოლავს კლასიკური სისადავით.

აქ მე-8 პორიზონტალის სისუსტე კომბინაციის მთავარ მოტივად (ლიტმოტივად) უნდა მივიჩნიოთ, ხოლო თეთრი ფიგურების იდეალური განლაგება — დამატებით მოტივად.

ამ კომბინაციაში განხორციელდა ორი ტაქტიკური დარტყმა (22. კc5! და 23. ედ8!). შავებმა ორივე შემთხვევაში „დანაელთა ძღვენზე“ უარი თქვეს. მიუხედავად ამისა, სწორედ ამ ტაქტიკური ილეთის წყალობით თეთრებმა განახორციელეს გადამწყვეტი შეტევა მე-8 პორიზონტალზე. საინტერესო და საყურადღებო შემთხვევაა.

გერსამიას კომბინაცია სტრატეგიას აგვირგვინებს, ის შედის გეგმაში. ასეთ კომბინაციას მსოფლიოს ექს-ჩემპიონი რა თეორეტიკოსი მაქს ეივე გეგმაზომიერს უწოდებს. დიდოსტატი და თეორეტიკოსი იგორ ბონდარევესკი თავის ნაშრომში „კომბინაცია მიტელშილიში“ (მოსკოვი, 1960 წ.) არ ეთანხმება ეივეს კომბინაციების კლასიფიკაციაში, რაც, ჩვენი აზრით, უმართებულოა.

**პარტია № 8**

ესპანური პარტია

**ხალაფილი**

(ოსტატობის კანდიდატი)

**თხალიძე**

(ოსტატობის კანდიდატი)

თბილისი, 1962 წელი.

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კხ5 კc5

ეს სისტემა უძველესია ესპანურ პარტიაში, მას იყენებდნენ ჯერ კიდევ XV საუკუნეში.

4. c3


ბუნებრივი პასუხია. თუ 4. მxე5, მაშინ 4. ... მდ4 5. კc4 ლგ5!

4. ... f5 5. d4! fe 6. კxე6 de 7. მxე5 კd6 8. ლh5?

ამ მაკდური სვლის შემდეგ თხელიძე შესაშური გამოგონებლობითა და ენერგიით თითქმის ფორსირებულად იგებს.

8. ... გნ 9. მxგნ მf6 10. ლh4

თუ 10. ლh6, მაშინ 10. ... ეგ8 11. მc5 ეxგ2 12. კგ5 კxე5 13. de კგ4 14. მფ1 კf3



ამ ვარიანტში და, საერთოდ, ამ პარტიაში შავების ინიციატი-

ვის საფუძველია უპირატესობა განვითარებაში და თეთრი უკრების სისუსტე.

10. ... ეგ8 11. მე5 კxე5 12. de ლდ3! (იხ. დიაგრამა).

დასასრულის დასაწყისი!

შავი ლაზიერი მოწინააღმდეგის განლაგების სიღრმეში გაბატონდა, უშუალოდ მეფესთან. ეს შემთხვევა იშვიათია და აზრდნად კაპრიზი ფიგურით სივრცის მოპოვება-შენარჩუნების კარგი მაგალითია.

13. h3

იმუქრებოდა 13. ... კგ4

13. ... კe6!

ახლა კი იმუქრება 14. ... კc4

14. ef

თუ 14. მa3, მაშინ 14. ... 0-0-0 (15. კგ5 e3 16. კxე3 მe4 17. კd4 ლd2 18. მფ1 ლxh2)

14. ... 0-0-0 15. ლh5 კგ4!

გადაკეტვის იდეა. თეთრები დანებდნენ.

15. კd2-ის შემთხვევაში შავები ასე იგებდნენ: 15. ... კc4

16. ლh5 ეგ5 17. ლd1 e3 18. fe ეxგ2


ვარიანტის დასკვნითი პოზიცია ძალიან და უმწეობის თვალსაჩინოებაა. ინიციატივა (თუ გინდ მსხვერპლის საფასურად) თხელიძის სტიქიაა. იგი საოცრად გრძნობს ასეთი პოზიციების რიტმს!

ტაქტიკური ილეთი — „გადაკეტვა“ იწვევს მოწინააღმდეგის ფიგურათა ურთიერთშთანხმებული, კოორდინირებული მოქმედების დარღვევას, ან მათი კონტროლის გათიშვას რო-

მელიძე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან უკრასთან (თხელიძესთან ეს იყო „d1 უკრა“). ძირითადად ეს არის კრიტიკული უკრა ან პუნქტი.

ახლა კი ამოსახსენილად გთავაზობთ პოზიციას „გადაკეტვის“ იდეაზე.

**ბატიაფილი**



**გრიგალაფილი**

სულა შავებისაა.

ეს პოზიცია შეიქმნა ლაგოდების რაიონის ჭაბუკთა 1981 წლის ჩემპიონატში მეორეთანრიგოსნებს შორის. შავებით თამაშობს ლაგოდების პირველი საშუალო სკოლის მერვეკლასელი ზაქარია ბატიაფილი, რომელმაც მახვილგონიერული სვლით გაიმარჯვა.

ველით თქვენს პასუხს.

განყოფილებას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი შოთა ინფიკრიპელი

— ადი, ქა, დროზე, რა მოგივიდა. ვერა ხედავ, მე შენზე ბებერი ვარ და ჩიტვივით ამოვფრინდი.

— აბა, რა ვი, ქა, უკნიდან ხო არ ვიყურებოდი ან ამოვფრინდი და ან არა.

— ი, შენა ხარ, ვო, რა მოგვლია, რა ფეხებ ძლივ დაათრევე. შენ ხო მართლა ჩემზე ჭეული ხარ.

— სად მიხვალ, ვო?

— რა ვი, ქა, პენსიის საქმეზე მივალ, იმ თვეში არ მამიტანეს და.

— მეცა. მაგრა რა გინდა, ავილო, არ ავილო, ი ბიჭი ერთ მანეთს არ მანახვინებს. მინდოდა, ცოტა მაინც მამეგროვებინა სამარხათა. სალანძლო საქმე არ გავინახლო-მეთქი და საქმეში ხარ?

— ჩემი რძალი ღვთისნიერი გამოდგა, ის შამანახვინებს ხოლმე, თორემა.

— მაშ, რძალი კარგი გამოგადგა?

— იგეთი, იგეთი, რომა მეტი არ შაიძლება. ისლა მადლებინებს, ის დალოცვილის გაზრდილი, ისა. კარგობას როგორ დავუკარგავ, ღმერთ რა პასუხი გავცე?

— კიდეც იმითო ამოვფრინდი ჩიტვივითა. ჩემი რძალი უნდა შეგხვედრიყო და მაშინ ჩემსავით აითრევედი ფეხებსა. სამკვდროს ვილა ჩივის, მე პური ფულს არ მირჩენენ, ქა. შვილი თუ რძალი აქეთ მეუბნებიან, როცა მოკვდები, დაგმარხავთ, ფული რა შესანახიაო. ფული ბევრი გვჭირდებაო, არ ასვენებს ბიჭსა, ესა ტელევიზორიო, ესაო მეზობელმა რაღაც კბილებდაკრეჭილი საკრავი შაიძინა, მეც მინდაო; აქეთ, მეზობელმა მუსიკაზე შაიყვანა ბალდი, გინდა თუ არა, ჩვენც შაიყვანათო. ი, ქა, იქნებ ი მეზობელმა რაი მიაგნო და იმაი სად შევეჭიბრო-მეთქი, — ვაშოშმინებ, ვაშოშმინებ, მაგრამ ვინ მიგდებ ყურსა.

მაღლა სახლი, დაბლა სახლიო, ბუზლუნებს და ლამის წელში გაწყვიტოს ბიჭიცა და თავისი თავიცა. ეგეთი ბრმანახარბები რომ ვყოფილიყავით, აქამდეც ვერ მოვალწევდით.

იპ, რა კარგი იყო ძველი დრო. კუტი პური და ჭერში ხარისხზე ღორის ღორი თუ გჭონდა ჩამოკიდებული, ქვეყანა შენი გეგონა.

გამოვიტანდი ბანზე დაირასა და გვედგა ერთი დავლური. ე რა უბედურებაა, ქა, ყველაფერი აქვთ და მაინც ვერაფრით გამძლარა იმათი თვალი და გული.

— ე მაგაი მოუყვლიხარ, ვო. მე ორი თუშური ძროხა მყავ და იმითი ვუძღვები ოჯახსა. არც დაბლა სახლი და არც მაღლა სახლი. ააშენებენ, გამართავენ, მორთავენ პატარძალივითა და დგა იგრე, შიგ არცა ცხოვრობენ. ისა ატუმრისააო, სტუმარი წელიწადში ერთხელ თუ მოგივა და იმასა სახლი ნახვა უნდა თუ ჩემი, ველარა გამიგია რა. სადაც ჩვენა ვართ, ისა იქ მოვიდეს დალოცვილი, ჩემი რძალიც ყველაფერ მიჯერებს. მაგაი ვენაცვალე.

# რეკლამა საფარის საფარის

— უი, გაიხაროი მაგის გამზღელმა.

საუბარში ბერიკაცი ჩაერია: — გინდათ, ქალებო, იგეთი რამე გასწავლოთ, დასამარხი ფულის დარდი დაგაკარგვინოთ.

— აბა, აბა, შენ გახარებასა, გვითხარი.

— ცოტაც რომ მოფარფატლებით, წადით დასავლეთშია, ბებრებსა ყიდულობენ ძაან ძვირათა, ისე, რომა, იმ ფულითა თქვენც დაიმარხებით და შვილებსაც დარჩებით. იქა მკვდარზე მთელი ხალხი მიდის თავისი შანატანითა.

იმითანა კი არა, რო ვიცოდით წინათა, მაგანსაო, ის მოუკვდაო და მთელი სოფელი იქ გაეჩნდებოდა. კუნწულ-კუნწულა ცრემლს დავაყრიდით, ჭირისუფალსა ნუგეშს მივცემდით, ერთმანეთსა ნათესავებივით ვუცქეროდით.

ეხლა ხალხიც გადაგვარდა. აღარც შანანება იციან. საცა რამ სახუმაროა, მაშინ უნდა მოიგონონ. ზოგჯერ ისე გაერთობიან,

ქალებს ქეიფადაც აქცევენ ერთი კარგად გამოიბრუყებიან. აბა, ეგ რა მკვდრის გაპატიონებაა, პა!

— იგრე მკვდარიც კი გახშირდა, ქა. ზოგ გული უსკდებაო, ზოგ წნევა არტყამსო, ზოგ სისხლი ჩაეჭცაო, ზოგ კიდენა რა. უწინ სად იყო ქა, ეგეთი ავადმყოფობები.

— აი, წელან თქვენ ლაპარაკ ყურ ვუგდებდი და მივხვდი, რაშიც იყო საქმე, ბევრი ფულიო, ცოლმა შეჭამა ი ბიჭიო. იმ დედაკაცსა არ გაუფონია ეს ანდაზა: — „საცა არ იყოს, ცოტა კმარიყოსო!“ აუცილებლად ყელში ქონი უნდა მოგაწვეს დ იმაი დუხრჩობინო? აგე, ტაშფანდურაანთ სიძესა რა მოუვიდა, იქნება თქვენც გაიგეთ, დედაკაცებო. ტელევიზორ უყურებდა და იქვე დაჭლომილავე მამკვდარა.

— აი, ქა, ჩაცომდებოდა! მეტი გაუნძრევლობისაგანა.

— შასულა ცოლი და რასა ხედამს, ერთი ღრიანცელი უდგათ ტელევიზორშია. ცოლი ეუბნება: — „მოდი, ქა, ბარემ ლოგინში ნებიერად დაწექიო...“ ის კიდენა უსულოთა დეგ.

— გული გაუსკდებაო, მა რა იქნებოდა, ქა, ზოგი იგრე შაიკვილებს, იტყვი, ფეხი დაადგეს წელებზეო. მერე ამოდენა ნევრიულობა! ზოგსა, კაცო, სწავლა არ უნდა, ჩავლებენ საყელოში ხელსა ი დედები, გასაყიდი ძროხასავით მიარბენიებენ ქალაქსა. მერე ისეც უკან მოარბენიებენ ცხვირპირჩამომტირალებსა, ჩაიჭრაო. ამოდენა ნევრიულობა სად იყო უწინა. რა არი რო, ვისაც სწავლა არ უნდა დაარჩინონ, სოფელშიაც მომრავლდნენ ახალგაზრდები, სუ ბებრებილა რო დავხანახალებო.

— უი, ქა, მოვსულვართ კიდეცა! — კარისაკენ გაიწია ერთმა დედაკაცმა. მეორემაც ფეხდაფეხ ჩაალაჯა ავტობუსის კიბეზე.

— გოგოებო, — სიტყვა ჩააწია ბერიკაცმა, — რაზე ე ჭეელები ადგილ დაგიმობდნენ, იქნებ ცალ-ცალკე მოხვედრილიყავით და მაგოდენაი ხო ველარ იტუქუკებდით.

**თამარ ჯანგულაშვილი,**  
ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სახახლის ნორჩ შემოქმედთა სტუდიის წევრი.





უბირატესობა კიდევ ის არის, რომ, როცა ფუნჯს საღებავი ან წებო შეაბამება, შეიძლება თავი მოაპრა; შემდეგ ღერძულაში გაყრილი ძაფი წინ წამოსწიე და ახალ ფუნჯს მიიღებ.



უსადგისოდ ძნელზე ძნელია შეიკეროს ტყავი ან სქელი ქსოვილი (ვთქვათ, ჯინსის ნაჭერი). საამისოდ შეგიძლია კიდევ სამედიცინო შპრის ნემსი იხმარო.

ფირფიტაზე სჭვალით მიმაგრებული სარკი კარგი საშუალებაა სახელდახელოდ წერილი სარეცხის ჩამოსაკიდებლად და გასაშრობად.

თითქოს რა არის ონკანის გაღება-დაკეტვა, მაგრამ როცა ორი თითით ალებ და კეტავ მას, ხელიც მალე გელდება და, თანაც, უზუსტო მოძრაობა სწრაფად ცვეთს ონკანის კვანძებს. ამიტომ დამიხსოვრე ეს უბრალო რჩევა: ონკანს მთელი ხელით უნდა ჩაეკიდო ხოლმე.

ლითონის კბილებიანი ჯაგრისი უებარი საშუალებაა ხეზე მიხმარი ზეთოვანი საღებავის ასაფხეკად. შენ შეგიძლია ეს იარაღი ასე გააუმჯობესო: წვრილი ხერხი მოდუნე, ჯაგრისის ტანს მიამაგრე და ის უკვე ეროსავით (ორხელივით) შეგიძლია იხმარო.

ჭეშმარიტად ამოუწურავია ნორჩი ტექნიკოსის ძიებათა სფერო. ამდენი გამოსადეგი რჩევის შემდეგ ვერც კი ვიფიქრებდით, რომ პასტიანი კალმის გამოყენება რაიმე ფორმით კიდევ იქნებოდა შესაძლებელი. და აი, ფოსტამ მოგვითანა კიდევ ერთი ახალი გამოცდილება: პასტის ღერძულა აცეტონით გარეცხე, მერე შიგ კაპრონის ორკეცი ძაფი გაუყარე, გარეთ დარჩენილი ძაფის ბოლო დაციცხვე და ხელთ მშვენიერი ფუნჯი გექნება. მისი



ხარაზიშვილი ნ. — შეკრება დამთავრდა, შეკრება გრძელდება (ნარკვევი)	გარეკ.	2
ბუთხუი გ. — გზის დასაწყისი (მოთხრობა)		4
ივარდავა დ. — მოგილოცავთ (ლექსი)		9
კერძევაძე ე. — კვლავ წკრიალებენ სკოლის ზარები (ლექსი).		9
უღენტი თ. — ყველასათვის მშობლიური (წერილი)		11
ცაგარელი თ. — ქუდზე კაცი! (ნარკვევი)		14
ჩხაიძე მ. — ფიროსმანი (მოთხრობა)		17
აისი		18
ბარუღინი ს. — იმას იოლკა ჰქვია (მოთხრობა)		20
ძნელაძე ვ. — პირველი სექტემბერი (ლექსი)		27
მელაძე ზ., წვერიკმაზაშვილი ზ. — ეგმ-ი გუმბ, დღეს და ხვალ (წერილი)		27
მხედრიონი		28
ჯადოსნური სარკე		30
ჩვენი შემოქმედება		31
გამოგადგები		32
პიონერული (მუსიკალური ნოტი)	გარეკ.	3
ცხრაკლიტული	გარეკ.	3

გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა ზურაბ მექმარიაშვილისა.

მთავარი რედაქტორი ბაბუღიაშვილი

სარედაქციო კოლეგია: ნუზუარ ახსახაპა, ზურაბ გომეზაძე, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაშვილი, გიორგი ფიცხი-შვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, რომანოზ ღარიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამგონიანი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შეფიჩიანი, ზურაბ წვერიკმაზაშვილი, ზურაბ ვუშუაშვილი.

საქართველოს კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 98-81-81, 3. მგ. მდივნის — 93-97-03, 93-53-05, განყოფილებების — 98-97-02, 93-97-01. გადაეცა ახაწყობად 24. 7. 81. ხელმოწერილია დასაბეჭდად 16. 9. 81, ქალაქის ფორმატი 60×90<sup>1</sup>/<sub>3</sub>, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,85, შეკვ. 2021, ტირ. 157 209. ეგზ. უფ. 00247.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Формат 60×90<sup>1</sup>/<sub>3</sub>, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35. Тираж 157 200 экз. Цена 20 коп.



# პიონერული

ტექსტი  
**გ. აიკინაშვილი**,  
მუსიკა  
**ო. თაქლორაძისა**

ბედნიერი თაობა ვართ,  
მზიური ქვეყნის შვილები,  
სულით მხნე და გულით ლალი,  
ია-ვარდებად შლილები.

დავლაშქრეთ დედა-სამშობლოს  
წარმტაცი მთა და ველები,  
მძლე კომკავშირს მხარს  
ვუწნორებთ  
ერთგული პიონერები.

უღრუბლო ზეცის ლაყვარდი  
დაგვნათის თავზე პატარებს,  
წალკოვად ქცეულ მამულში  
ბედნიერ დღეებს ვატარებთ.




მარშის ტემპში

სიმღერის ტექსტი

ბედ-ნი-ე-რი თა-ობა ვართ, მზი-უ-რი ქვეყ-ნის შვი-ლე-ბი,  
სუ-ლით მხნე და გუ-ლით ლა-ლი, ი-ა ვარ-დე-ბად შლი-ლე-ბი. სუ-ლით მხნე და  
გუ-ლით ლა-ლი, ი-ა ვარ-დე-ბად შლი-ლე-ბი. ებს ვა-ტა-რებთ.

გამეორება დაბოლოება

## იკოვნე განსხვავება



მარცხენა ნახატი მარჯვენისაგან ათი დეტალით განსხვავდება. იკოვნე ეს განსხვავებები.

პასუხი № 8-ში  
მოთქანსაგულ  
„სხრაკლიგულზე“

კროსვორდი

- თარაზულად: 5. ასამბ-  
ლეა; 6. ვარიაცია; 9. აცილე-  
ბა; 10. ამბარა; 11. ეხვევი;  
15. ზაპოტოკი; 17. ამური;

18. ამალუ; 19. ანანური; 20.  
ვალიორი; 24. თართი; 25.  
უნარი; 26. ერენბურგი; 29.  
თორიტი; 32. იადონი; 33. ვა-  
ზიანი; 34. აღმირალი; 35. არ-  
ტანუჯი.

- შვეულად: 1. აშპერი; 2.  
ჭერცი; 3. თაობა; 4. თაბანი;  
5. ატომიზმი; 7. ალავერდი;  
8. ელექტრა; 12. ვანკუვერი;  
13. აკვალანგი; 14. ერგნეთი;

16. ამირანი; 21. ვალტორნა;  
22. ამბიცია; 23. არსენალი;  
27. ატონია; 28. ბანანი; 30.  
ვაშლი; 31. ენდრო.

გამოცანები

- კომბალი; კვეს-აბელი; 18; სა-  
რკე; კვერცხი; სტაფილი;  
ზღვა; ვარსკვლავები; ქოლ-  
გა; ბუკი.

შ ა რ ა დ ა  
ბ ა შ ი.



6157/157

ინფანტი 76157  
ფასი 20 კპ.  
თეატრული  
ბიზნისი

ჩვენი  
უპირველესა



მწყემსები. მალხაზ ფხალაძე, 15 წლის, პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ხატვისა და ფერწერის კაბინეტის წევრი.



მეცხური. ჯვიან ჯაიელი, ბარისახოს საშუალო სკოლა-ინტერნატი, VI კლასი.



განაირება. გიორგი ტყეშელაშვილი, 5 წლის.

სვანური სოფელი. კობა შიოკაძე, 14 წლის, პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ხატვისა და ფერწერის კაბინეტის წევრი.

